სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომა №2

ქ. თბილისი **2017 წლის 5 მაისი**

სხდომას ესწრებოდნენ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები: 1. ბარბაქაძე ხათუნა 2. გაგელიძე ტარიელი 3. შუბითიძე ვლადიმერი 4. თუთბერიძე ბეჟანი 5. მაჭავარიანი ლია 6. გეგეჭკორი არნოლდი 7. ხაჩიძე მანანა 8. თევზაძე ალექსანდრე 9. ბექაური ბექა 10. ბასილაია ანანო 11. თუმანიშვილი გიორგი 12. თოდუა ნონა 13. გარიშვილი მარინა 14. კვირიკაშვილი ბახვა 15. ონიანი თამარი 16. ოქიტაშვილი გიორგი 17. მარგველაშვილი ვლადიმერი 18. ჩხაიძე თამარი 19. წერეთელი მარი 20. ლორთქიფანიძე ლევანი 21. შევარდნაძე თორნიკე 22. ჩახუნაშვილი ნინო 23. თოფურია სალომე 24. ლორია კახაბერი 25. გორდეზიანი ლევანი 26. გელოვანი ნანი 27. თაბუაშვილი აპოლონი 28. ბრაჭული ირაკლი 29. ოთხმეზური გიორგი 30. პაიჭაძე თამარი 31. შარაბიძე თამარი 32. სამხარაძე ლაშა 33. კეჟერაშვილი შოთა 34. ჯავახაძე გიორგი 35. გაიპარაშვილი ზურაბი 36. ღარიბაშვილი ირაკლი 37. სუმბაძე ციური 38. ბაშალეიშვილი ლევანი 39. ქადეიშვილი თორნიკე 40. მაჭავარიანი ნანა 41. წაქაძე სევერიანი 42. იოსელიანი ხათუნა 43. ახალბედაშვილი ლილი 44. ალანია ვიქტორი 45. ხეცურიანი ნათელა 46. ხუციშვილი მარინე 47. ნემსაძე ადა 48. რუხაია მიხეილი 49. ჯობავა თამარი (დანართი 1)

სხდომაზე დამსწრე აკადემიური საბჭოს წევრები: 1. გიორგი შარვაშიძე 2. გიორგი ღვედაშვილი 3. რუსუდან სანაძე 4. მარინე მინდორაშვილი 5. ავთანდილ სილაგაძე 6. პაატა იმნაძე 7. აპოლონ სილაგაძე 8. აკაკი ყულიჯანაშვილი 9. დავით კერესელიძე 10. გია ლობჟანიძე 11. ანასტასია ქიტიაშვილი 12. ნათელა ანანიაშვილი 13. ზურაბ ცაგარელი 14. ავთანდილ ამირანაშვილი 15. მურმან კვინიკაძე 16. ნოდარ ცინცაძე 17. გოჩა ფერაძე 18. მამუკა ხუსკივაძე 19. რევაზ შანიძე 20. ნიკოლოზ ავაზაშვილი (დანართი 2)

დღის წესრიგი:

1. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების ცვლილებების დამტკიცება

2. „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2014 წლის 22 დეკემბრის №118/2014 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2017 წლის 1 მაისის №45/2017 დადგენილების დამტკიცება

3. „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის ელეფთერ ანდრონიკაშვილის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტის დებულების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2017 წლის 10 აპრილის №38/2017 დადგენილების დამტკიცება

4. „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის - ალექსანდრე თვალჭრელიძის სახელობის მინერალური ნედლეულის კავკასიის ინსტიტუტის დებულების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2017 წლის 1 მაისის №41/2017 დადგენილების დამტკიცება

5. „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევითი ერთეულის - რაფიელ აგლაძის სახელობის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტის დებულების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2017 წლის 1 მაისის №42/2017 დადგენილების დამტკიცება

6. „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის - არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის დებულების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2017 წლის 1 მაისის №43/2017 დადგენილების დამტკიცება

7. „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის - შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის დებულების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2017 წლის 1 მაისის №44/2017 დადგენილების დამტკიცება

8. სხვადასხვა

დღის წესრიგი დამტკიცდა ერთხმად.

1. იურიდიული დეპარტამენტის უფროსმა, არჩილ კუკულავამ წარმოადგინა სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების

ცვლილებების პროექტი. მისი განმარტებით, წარმოდგენილი ცვლილებები ძირითადად განპირობებულია კანონმდებლობაში განხორციელებული შესაბამისი ცვლილებებით, რომლებიც აუცილებლად უნდა აისახოს უნივერსიტეტის წესდებაში. პროექტის მიხედვით, პროფესორის თანამდებობის დაკავება შესაძლებელი იქნება უვადოდ ან 10 წლის ვადით. შესაბამისი კრიტერიუმები უვადო პროფესორის თანამდებობისთვის განისაზღვრება მომავალში.

საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვა წარმომადგენლობითი საბჭოს წევრმა, ნათელა ხეცურიანმა.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობდნენ მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები:

მომხრე: 49
წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: 1. დამტკიცდეს სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების ცვლილებები (დანართი 3) 2. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების ცვლილებები დასამტკიცებლად გადაეგზავნოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს.

2. არჩილ კუკულავამ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებს გააცნო „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2014 წლის 22 დეკემბრის №118/2014 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2017 წლის 1 მაისის №45/2017 დადგენილება. მისი განმარტებით, დადგენილების მიღება განპირობებულია უნივერსიტეტის წესდების ცვლილებებით.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრი ლევან ლორთქიფანიძე დაინტერესდა, თუ რა კრიტერიუმებია დადგენილი პროფესორის უვადოდ არჩევისთვის, რაზეც არჩილ კუკულავამ განაცხადა, რომ კრიტერიუმები ჯერ არაა დადგენილი და ისინი სამომავლოდ შემუშავდება.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობდნენ მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები:

მომხრე: 48
წინააღმდეგი: 1

მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2014 წლის 22 დეკემბრის №118/2014 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2017 წლის 1 მაისის №45/2017 დადგენილება (დანართი 4)

3. ზაზა როსტომაშვილმა წარმოადგინა „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის ელეფთერ ანდრონიკაშვილის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტის დებულების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2017 წლის 10 აპრილის №38/2017 დადგენილება. მისი განცხადებით, ინსტიტუტის ახალი დებულების მიღება გამოწვეულია საქართველოს კანონმდებლობის ცვლილებებით.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობდნენ მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები:

მომხრე: 49
წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის ელეფთერ ანდრონიკაშვილის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტის დებულების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2017 წლის 10 აპრილის №38/2017 დადგენილება (დანართი 5)

4. ნესტან გეგიამ წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის მონაწილეებს გააცნო „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის - ალექსანდრე თვალჭრელიძის სახელობის მინერალური ნედლეულის კავკასიის ინსტიტუტის დებულების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2017 წლის 1 მაისის №41/2017 დადგენილება. მან აღნიშნა, რომ ახალი დებულება კანონმდებლობისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვითაა შესრულებული და ინსტიტუტის საქმიანობა მომავალში მის მიხედვით წარიმართება.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობდნენ მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები:

მომხრე: 49
წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის - ალექსანდრე თვალჭრელიძის სახელობის მინერალური ნედლეულის კავკასიის ინსტიტუტის დებულების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2017 წლის 1 მაისის №41/2017 დადგენილება (დანართი 6)

5. გია ტატიშვილმა წარმოადგინა „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევითი ერთეულის - რაფიელ აგლაძის სახელობის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტის დებულების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2017 წლის 1 მაისის №42/2017 დადგენილება. მისი განმარტებით, დადგენილებით დამტკიცებული დებულება ითვალისწინებს ინსტიტუტის საქმიანობის სპეციფიკას და მასში გათვალისწინებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისი ცვლილებები.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობდნენ მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები:

მომხრე: 49
წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევითი ერთეულის - რაფიელ აგლაძის სახელობის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტის დებულების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2017 წლის 1 მაისის №42/2017 დადგენილება (დანართი 7)

6. ვაჟა შენგელიამ წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის მონაწილეებს გააცნო „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის - არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის დებულების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2017 წლის 1 მაისის №43/2017 დადგენილება.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობდნენ მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები:

მომხრე: 49
წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის - არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის დებულების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2017 წლის 1 მაისის №43/2017 დადგენილება (დანართი 8)

7. ირმა რატიანმა წარმოადგინა „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის - შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის დებულების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2017 წლის 1 მაისის №44/2017 დადგენილება.

საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვა წარმომადგენლობითი საბჭოს წევრმა, არნოლდ გეგეჭკორმა.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობდნენ მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები:

მომხრე: 49
წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის - შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის დებულების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2017 წლის 1 მაისის №44/2017 დადგენილება (დანართი 9)

8. წარმომადგენლობითი საბჭოს წევრმა, ბახვა კვირიკაშვილმა წარმომადგენლობით საბჭოს გააცნო სტუდენტური თვითმმართველობის ინიციატივა უნივერსიტეტის სასწავლო კორპუსებში სარელაქსაციო ზონების მოწყობასთან დაკავშირებით. მისი განცხადებით, მეორე და მაღლივი კორპუსების ტერიტორიაზე სასურველია სტუდენტთა მოსასვენებელი და სამეცადინო კუთხეების მოწყობა და ამ მიმართულებით შესაძლებელია სპონსორების მოძიება. ასევე, სასურველია მაღლივი კორპუსის უკან არსებული ეზო მოეწყოს ისე, რომ სტუდენტებს შეეძლოთ ბიბლიოთეკის გარეთაც მეცადინეობა.

ინიციატივას მხარი დაუჭირა ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, ნუნუ ოვსიანიკოვამ და დასძინა, რომ პირველი კორპუსის ბიბლიოთეკის წინ უკვე მოეწყო მსგავსი სივრცე. ამასთან, შესაბამის სამსახურებზე გაცემულია დავალებები მაღლივ კორპუსშიც ანალოგიური სივრცის უზრუნველყოფაზე. პარალელურად მიმდინარეობს სპონსორების მოძიება და მსგავს ინიციატივას უნივერსიტეტის ადმინისტრაცია ყოველთვის მხარს დაუჭერს.

საკითხთან დაკავშირებით კენჭისყრა არ გამართულა.

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი: კახაბერ ლორია

წარმომადგენლობითი საბჭოს მდივანი: დიმიტრი გეგენავა

დანართი 1

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომა

2017 წლის 5 მაისი

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

პროფესორები:

- შაბურიშვილი შოთა
- თოდუა ნუგზარი
- აბესაძე ნინო
- ბარბაქაძე ხათუნა

სტუდენტები:

- სოსიაშვილი თათია
- გოდერძიშვილი ლია
- ბერუაშვილი ანზორი
- გაგელიძე ტარიელი
- ხუციშვილი სანდრო
- შვანგირაძე მათე
- შუბითიძე ვლადიმერი

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები:

- გოგინავა უშანგი
- თუთბერიძე ბეჟანი
- მაჭავარიანი ლია
- გეგეჭკორი არნოლდი
- ხაჩიძე მანანა
- თევზაძე ალექსანდრე
- შოთა სამსონია

სტუდენტები:

- ბექაური ბექა
- ბახტურიძე პაატა
- ბასილაია ანანო
- ჩეკურაშვილი ნინო

იურიდიული ფაკულტეტი

პროფესორები:

- თუმანიშვილი გიორგი
- ცისკაძე მარიამი
- თოდუა ნონა
- გარიშვილი მარინა

სტუდენტები:

- კვირიკაშვილი ბახვა
- ონიანი თამარი
- ოქიტაშვილი გიორგი
- ართქმელაძე თორნიკე

მედიცინის ფაკულტეტი

პროფესორები:

- მარგველაშვილი ვლადიმერი
- ქიტუაშვილი თინა
- ხოდელი ნოდარი
- ჩხაიძე ზურაბ

სტუდენტები:

- თამარ ჩხაიძე

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები:

- წერეთელი მარი
- შამილიშვილი მანანა
- ტუკვაძე ავთანდილი

სტუდენტები:

- ლორთქიფანიძე ლევანი
- საბაური შალვა
- შევარდნაძე თორნიკე

ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები:

- ჟვანია ირინე
- ჩახუნაშვილი ნინო

სტუდენტები:

- დადეშქელიანი ბექა
- თოფურია სალომე

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები:

- ლორია კახაბერი
- გორდეზიანი ლევანი
- გელოვანი ნანი
- თაბუაშვილი აპოლონი
- ბრაჭული ირაკლი
- ოთხმეზური გიორგი

- პაიჭაძე თამარი
- შარაბიძე თამარი

სტუდენტები:

- ჯებაშვილი ნანა
- მინდიაშვილი თეონა
- სამხარაძე ლაშა
- კეუერაშვილი შოთა
- ჯავახაძე გიორგი

თსუ–ს ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი

- გაიპარაშვილი ზურაბი

ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის დირექტორი

- ღარიბაშვილი ირაკლი

ალექსანდრე ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტი

- სუმბაძე ციური

ალექსანდრე ჯანელიძის გეოლოგიის ინსტიტუტი

- ბაშელეიშვილი ლევანი

ანდრია რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტი

- ქადეიშვილი თორნიკე

არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

- მაჭავარიანი ნანა

ელეფთერ ანდრონიკაშვილის ფიზიკის ინსტიტუტი

- წაქაძე სევერიანი

ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტი

- ხომერიკი გიორგი

თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი

- რუსიაშვილი გიორგი

ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი

- იოსელიანი ხათუნა

კავკასიის ალექსანდრე თვალჭრელიძის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტი

- ახალბედაშვილი ლალი

მიხეილ ნოდიას სახელობის გეოფიზიკის ინსტიტუტი

- ალანია ვიქტორი

პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი

- რევიშვილი ზურაბი

პეტრე მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტი

- ხეცურიანი ნათელა

რაფიელ აგლაძის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტი

- ხუციშვილი მარინე

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

- ნემსაძე ადა

ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი

- მიხეილ რუხაია

მაღალი ენერგიების ფიზიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი

- თამარ ჯობავა

დანართი 2

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე დამსწრე აკადემიური საბჭოს წევრების სია
2017 წლის 5 მაისი

- გიორგი შარვაშიძე
- ირმა ხარშილაძე
- ამირან ბერძენიშვილი
- გიორგი ღვედაშვილი
- რუსუდან სანაძე
- მარინე მინდორაშვილი
- ავთანდილ სილაგაძე
- პაატა იმნაძე
- ნინო ოკრიბელაშვილი
- დავით გოცირიძე
- აპოლონ სილაგაძე
- აკაკი ყულიჯანიშვილი

- ვასილ გონაშვილი
- დავით კერესელიძე
- გია ლობჟანიძე
- ალექსანდრე კუხიანიძე
- ანასტასია ქიტიაშვილი
- მარინე ზაუტაშვილი
- ნათელა ანანიაშვილი
- ზურაბ ცაგარელი
- ავთანდილ ამირანაშვილი
- ერეკლე გამყრელიძე
- თამაზ ყარალაშვილი
- მურმან კვინიკაძე
- ნუგზარ შავლაყაძე
- ნოდარ ცინცაძე

- გაგა ლომიძე
- დავით მერკვილაძე
- მედეა ღლონტი
- გოჩა ფერაძე
- მამუკა ხუსკივაძე
- რევაზი შანიძე
- ნიკოლოზ ავაზაშვილი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის

ბრძანება №--/ნ
2017 წლის -- მაისი
ქ. თბილისი

,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

მუხლი 1.

შეტანილ იქნეს ცვლილება ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებაში (www.matsne.gov.ge, 11/09/2013, სარეგისტრაციო კოდი: 430210000.22.022.016655) და ბრძანების პირველი მუხლით დამტკიცებული წესდებაში:

1. 22-ე მუხლის მე-9 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,9. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის საქმიანობას აფასებს ფაკულტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შიდა შეფასების წესის საფუძველზე, რომელსაც შეიმუშავებს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და ამტკიცებს ფაკულტეტის საბჭო."

2. 29-ე მუხლის:

ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით

,,1. პროფესორის თანამდებობაზე 10 წლის ვადით შეიძლება აირჩეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება და მნიშვნელოვანი პუბლიკაციები.“.

ბ) პირველი პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის ,,1^1“ პუნქტი

,, 1^1. პროფესორის თანამდებობაზე უვადოდ შეიძლება აირჩეს პირი, რომელიც აკმაყოფილებს ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილ მოთხოვნებს და რომელსაც აქვს განსაკუთრებული პროფესიული მიღწევები ან/და სამეცნიერო მიღწევები (სამეცნიერო პუბლიკაციები წამყვან ადგილობრივ და მაღალრეიტინგულ საერთაშორისო ჟურნალებსა და სხვა გამოცემებში, მიღებული აქვს მონაწილეობა ეროვნულ და საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევით პროექტებში და აქვს სხვა მიღწევები დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით)“.

3. 32^1 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,3. პოსტდოქტორანტია პირი, რომელიც კონკრეტული სამეცნიერო-კვლევითი პროექტის განსახორციელებლად არაუმეტეს 2 წლის ვადით, კონკურსის საფუძველზე აირჩევა ფაკულტეტზე ან დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ერთეულში აკადემიური საბჭოს მიერ განსაზღვრული წესითა და ვადით. პოსტდოქტორანტად პირი შეიძლება აირჩეს მხოლოდ ერთხელ.“.

4. 32^2 მუხლის:

ა) მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,2. მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დაკავება 10 წლის ვადით შეუძლია პირს, რომელსაც აქვს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება და მნიშვნელოვანი პუბლიკაციები.“

ბ) მე-2 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის ,,2^1“ პუნქტი:

,,2^1. მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დაკავება უვადოდ შეუძლია პირს, რომელიც აკმაყოფილებს ამ მუხლის მე-2 პუნქტიით დადგენილ მოთხოვნებს და რომელსაც აქვს განსაკუთრებული სამეცნიერო მიღწევები (სამეცნიერო პუბლიკაციები წამყვან ადგილობრივ და მაღალრეიტინგულ საერთაშორისო ჟურნალებსა და სხვა გამოცემებში,

მიღებული აქვს მონაწილეობა ეროვნულ და საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევით პროექტებში და აქვს სხვა მიღწევები დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით).";
5.47-ე მუხლის:

ა) მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. უნივერსიტეტის უძრავი ქონების ან მისი ნაწილის შეძენა, გასხვისება ან იჯარით გაცემა შეიძლება მხოლოდ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს თანხმობით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.".

ბ) მე-5 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის ,,5^1" პუნქტი:

„5^1. უნივერსიტეტის მოძრავ ქონებასთან დაკავშირებით ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღება, თუ იგი სცილდება საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ფარგლებს, შეიძლება მხოლოდ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს თანხმობით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით."

6. 51-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,**მუხლი 51. გარდამავალი დებულებები**

1. „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე" საქართველოს კანონის (www.matsne.gov.ge, 16/12/2016, სარეგისტრაციო კოდი: 430020000.05.001.018313) ძალაში შესვლის შემდგომ, წინამდებარე ბრძანების ძალაში შესვლამდე პერიოდში, უნივერსიტეტში პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსების შედეგად პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე არჩეული პირები, პროფესორის თანამდებობაზე არჩეულად ჩაითვალონ ამ წესდების 29-ე მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ვადით.
2. უნივერსიტეტის წესდების 23^2 მუხლით დადგენილი წესით დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების შექმნის მიზნებისათვის, უნივერსიტეტმა დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების უნივერსიტეტის წესდებით დადგენილ დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის კრიტერიუმებთან შესაბამისობის დადგენის პირველი პროცედურის ჩატარება უზრუნველყოს არაუგვიანეს 2018 წლის 1 ივლისისა.".

მუხლი 2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებაში (www.matsne.gov.ge, 22/06/2016, სარეგისტრაციო კოდი: 430210000.22.022.017145) ცვლილების შეტანის შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 22 ივნისის №16/ნ ბრძანების მე-2 მუხლის მე-3 პუნქტი.

მუხლი 3. ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს განათლებისა და
მეცნიერების მინისტრი ალექსანდრე ჯეჯელავა

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო

უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

№ 45/2017 1 ივნისი 2017 წ.

„სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესის შესახებ" აკადემიური საბჭოს 2014 წლის 22 დეკემბრის №118/2014 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის პირველი, მეორე და მესამე ნაწილების, 54-ე მუხლის პირველი ნაწილისა და 63-ე მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 35-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" და „ბ" ქვეპუნქტებისა და მე-2 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების" მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „პ" ქვეპუნქტის, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 14 ივლისის №73/2014 დადგენილებით დამტკიცებული აკადემიური საბჭოს რეგლამენტის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „რ" ქვეპუნქტის საფუძველზე,

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. შევიდეს შემდეგი ცვლილებები ,,სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესის შესახებ" აკადემიური საბჭოს 2014 წლის 22 დეკემბრის №118/2014 დადგენილებაში:

ა) დადგენილების პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტით დამტკიცებული №1 დანართის მე-2 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,1. უნივერსიტეტის პროფესორად:
ა) 10 წლის ვადით შეიძლება აირჩეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება და მნიშვნელოვანი პუბლიკაციები;
ბ) უვადოდ შეიძლება აირჩეს პირი, რომელიც აკმაყოფილებს ამ მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტით დადგენილ მოთხოვნებს და რომელსაც აქვს

განსაკუთრებული პროფესიული მიღწევები ან/და სამეცნიერო მიღწევები (სამეცნიერო პუბლიკაციები წამყვან ადგილობრივ და მაღალრეიტინგულ საერთაშორისო ჟურნალებსა და სხვა გამოცემებში, მიღებული აქვს მონაწილეობა ეროვნულ და საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევით პროექტებში და აქვს სხვა მიღწევები დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით).

2. ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, 7 წლის ვადით, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება.";

ბ) დადგენილების პირველი პუნქტის ,,გ" ქვეპუნქტით დამტკიცებული №3 დანართი და ,,დ" ქვეპუნქტით დამტკიცებული №4 დანართი ჩამოყალიბდეს წინამდებარე დადგენილებაზე თანდართული რედაქციით (დანართი №3, დანართი №4).

2. აღნიშნული გადაწყვეტილება დასამტკიცებლად წარედგინოს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს.

3. დადგენილების ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე განთავსება დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას.

4. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კილომეტრი, №6).

5. დადგენილება ძალაში შევიდეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდებაში შესაბამისი ცვლილებების ძალაში შესვლისთანავე.

გიორგი შარვაშიძე
რექტორი
აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური თანამდებობის დაკავებისა და აკადემიური პერსონალის შესარჩევი კონკურსის ჩატარების წესის

დანართი №3

კონკურსანტის ანკეტა

ა) პირადი ინფორმაცია განმცხადებლის შესახებ

გვარი	
სახელი	
მამის სახელი	
დაბადების თარიღი	
მოქალაქეობა	
მისამართი	
ტელეფონი	
ელ.ფოსტა	
ბოლო სამსახურებრივი პოზიცია	

ბ) საკონკურსო პოზიცია

	☐ პროფესორი (უვადო)	☐ პროფესორი (ვადიანი)	☐ ასოცირებული პროფესორი	☐ ასისტენტ პროფესორი	☐ ასისტენტი
ფაკულტეტი *(საკონკურსო თანამდებობის სრული დასახელება)*					

I. კატეგორია: განათლება, აკადემიური ხარისხი და სამსახურებრივი გამოცდილება

1.1 განათლება

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, ფაკულტეტი	ჩარიცხვისა და დამთავრების წლები	კვალიფიკაცია

1.2 აკადემიური/სამეცნიერო ხარისხი *(PhD/ საკანდიდატო დისერტაციის დაცვა; ჰაბილიტაცია/სადოქტორო დისერტაციის დაცვა)*

დისერტაციის დაცვის თარიღი	
დისერტაციის თემა	
მინიჭებული კვალიფიკაცია	
კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის ნომერი	

1.3 სამსახურებრივი გამოცდილება

თარიღი	დაწესებულების დასახელება და დაკავებული თანამდებობა

1.4 პედაგოგიური სტაჟი

6 წელზე მეტი ☐	6 წელზე ნაკლები ☐

აკრედიტებული/ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	სწავლების საფეხური	სასწავლო კურსები

1.5 შეთავსებით მუშაობა

თარიღი	დაწესებულების დასახელება და დაკავებული თანამდებობა

1.6 ინფორმაცია კლინიკური ბაზის შესახებ წარმოდგენილი დანართის სახით მედიცინის ფაკულტეტის კონკურსანტებისათვის, რომელიც შეიცავს:

- თანხმობის წერილს იმ კლინიკური ბაზის/ბაზების ხელმძღვანელისაგან, სადაც უნდა განხორციელდეს აკადემიური და სამეცნიერო-კვლევითი პროცესი;
- კლინიკური ბაზის/ბაზების ძირითად სტატისტიკურ მონაცემებს;
- კლინიკურ ბაზაზე/ბაზებზე არსებულ სასწავლო პროცესისათვის განკუთვნილი სივრცის აღწერილობას და სასწავლო პროცესისათვის გამოყოფილი მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის ჩამონათვალს.

II. კატეგორია: საკონკურსო თანამდებობის პროფილის შესაბამისი პედაგოგიური და სასწავლო–მეთოდური საქმიანობა

2.1 პედაგოგიური გამოცდილება

საერთო პედაგოგიური სტაჟი						
N	ბოლო 6 წლის განმავლობაში წაკითხული კურსები *კურსის დასახელება*	ლექცია	პრაქტიკული / სემინარი	ლაბორატორიული სამუშაო	უმაღლესი სასწავლებლის დასახელება	წელი
1						
2						
3						

2.2 სასწავლო–მეთოდური საქმიანობა

სახელმძღვანელო (მათ შორის დამხმარე)	
N	*სახელმძღვანელოს/სალექციო კურსის დასახელება, გამოცემის წელი* (ელექტრონული კურსებისთვის - ელ.მისამართი)
1	
2	

2.3 კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები, ტრენინგები

თარიღი	კურსების/ტრენინგების დასახელება	დიპლომის/სერტიფიკატის ნომერი

2.4 სასწავლო კურსების დასახელება, რომელთა წაკითხვა შეუძლია კონკურსანტს (პრიორიტეტი ენიჭება თსუ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამის კურსთან მიმართებით წარმოდგენილ ინფორმაციას)

N	კურსის დასახელება	საგანმანათლებლო პროგრამა	ლექცია	პრაქტიკული /სემინარი	ლაბორატორიული სამუშაო
1					
2					
3					

2.5 წარმოდგენილი სილაბუსები *(წარმოადგინეთ დანართის სახით)*

N	კურსის დასახელება	საგანმანათლებლო პროგრამა	მეცადინეობის ფორმა		
			ლექცია	პრაქტიკული /სემინარი	ლაბორატორიული სამუშაო
1					
2					
3					

III. კატეგორია: სამეცნიერო–კვლევითი საქმიანობა:

3.1 პუბლიკაციები იმპაქტ ფაქტორის მქონე ჟურნალებში კონკურსანტის შეხედულებისამებრ *(ცხრილი შეავსეთ ქრონოლოგიური თანმიმდევრობის დაცვით, დაიწყეთ უახლესი ინფორმაციით)*

N	ავტორები ყველა თანაავტორის მითითებით, კონკურსანტის გვარი გამოყოფილი უნდა იქნეს მუქი შრიფტით	ნაშრომის სათაური	ჟურნალის დასახელება, ტიპი/ტომი, გვერდები.	გამოქვეყნების წელი	ჟურნალის იმპაქტ ფაქტორი	ციტირებების რაოდენობა

3.2 სხვა მნიშვნელოვანი პუბლიკაციები კონკურსანტის შეხედულებისამებრ *(ცხრილი შეავსეთ ქრონოლოგიური თანმიმდევრობის დაცვით, დაიწყეთ უახლესი ინფორმაციით)*

N	ავტორები ყველა თანაავტორის მითითებით; კონკურსანტის გვარი გამოყოფილი უნდა იქნეს მუქი შრიფტით	პუბლიკაციის სახეობა (მონოგრაფია, სტატია რეცენზირებად, საერთაშორისო, უცხოურ, ადგილობრივ ჟურნალში, საკონფერენციო მასალები (Proceedings) და სხვ.)	პუბლიკაციის სათაური, ავტორები, ჟურნალის/ გამომცემლობის დასახელება, ტიპი/ტომი, გვერდები, პუბლიკაციის ელექტრონული მისამართი (არსებობის შემთხვევაში).	გამოქვეყნების წელი	ციტირებების რაოდენობა

3.3 პატენტები (გამოგონებები)

№	გაცემის წელი	პატენტის დასახელება	პატენტის გამცემი ორგანიზაცია	პატენტის სარეგისტრაციო ნომერი

3.4 ციტირების ინდექსი, h და g ინდექსები *(მიუთითეთ ინფორმაციის შესაბამისი წყარო)*

ციტირების ინდექსი	h-ინდექსი	g-ინდექსი

3.5, 3.6 კონკურსანტის მოხსენებები საერთაშორისო და ადგილობრივ სამეცნიერო კონფერენციებზე ბოლო 6 წლის განმავლობაში

1	თარიღი	
	მოხსენების სათაური	
	კონფერენციის დასახელება	
	ჩატარების ადგილი	
	ელექტრონული მისამართი	
2	თარიღი	
	მოხსენების სათაური	
	კონფერენციის დასახელება	
	ჩატარების ადგილი	
	ელექტრონული მისამართი	

3.7 საგრანტო/სახელშეკრულებო პროექტებში მონაწილეობა ბოლო 6 წლის განმავლობაში

№	განხორციელების წლები	დონორი ორგანიზაცია, პროექტის/ხელშეკრულების №	პროექტის დასახელება	როლი პროექტში

3.8 თანამშრომლობა უცხოეთის სამეცნიერო ცენტრებთან *(უცხოეთის უნივერსიტეტებთან/სამეცნიერო ცენტრთან ერთობლივ სასწავლო ან სამეცნიერო პროგრამებში/პროექტებში მონაწილეობა, მივლინება/სტიპენდია/სტაჟირება და სხვ.)*

თანამშრომლობის ფორმა	უნივერსიტეტის/სამეცნიერო ცენტრის დასახელება	დაწყებისა და დასრულების თარიღი

3.9 საკონკურსო კომისიისათვის შესაფასებლად წარმოდგენილი ერთი გამოქვეყნებული ნაშრომი

პუბლიკაციის სახეობა	პუბლიკაციის სათაური, ავტორები, ჟურნალის/გამომცემლობის დასახელება, ტიპი/ტომი, გვერდები, პუბლიკაციის ელექტრონული მისამართი	გამოქვეყნების წელი

3.10 სამეცნიერო კვლევების კონცეფცია/სამოტივაციო წერილი[1] *(წარმოდგენილი უნდა იყოს დანართის სახით)*

[1] სამეცნიერო კვლევების კონცეფციის წარმოდგენა სავალდებულოა მხოლოდ იმ აპლიკანტებისთვის, რომელთაც სურთ პროფესორის ან ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობის დაკავება, ასიტენტ–პროფესორები და ასისტენტები წარმოადგენენ სამოტივაციო წერილს.

IV. კატეგორია: სხვა სახის აქტივობა (ბოლო 6 წელი)

(მიღწევები, გამოცდილება, დამსახურება, ჯილდო, სტიპენდია, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელობა/თანახელმძღვანელობა, სტუდენტის ხელმძღვანელობა, ახალგაზრდა თაობის დაინტერესება თსუ–ში სწავლით, კომპიუტერთან მუშაობის უნარები, ენების ცოდნა და სხვ.)

N	აქტივობის დასახელება

დამატებითი ინფორმაცია

N	

ინფორმაციის სისწორეს ვადასტურებ

.....

ხელმოწერა გარკვევით

თარიღი

შენიშვნა: კონკურსანტმა ანკეტა (თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად) უნდა წარმოადგინოს როგორც ნაბეჭდი, ისე ელექტრონული სახით.

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური თანამდებობის დაკავებისა და აკადემიური პერსონალის შესარჩევი კონკურსის ჩატარების წესის

დანართი №4

კონკურსანტის შეფასების ფორმა

ა) ინფორმაცია კონკურსანტის შესახებ

გვარი	
სახელი	
მამის სახელი	

ბ) საკონკურსო პოზიცია

	☐	☐	☐	☐	☐
	პროფესორი (უვადო)	პროფესორი (ვადიანი)	ასოცირებული პროფესორი	ასისტენტ პროფესორი	ასისტენტი
ფაკულტეტი *(საკონკურსო თანამდებობის სრული დასახელება)*					

შ ე ფ ა ს ე ბ ა

I კატეგორია: ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან

1.1 განათლება
შეესაბამება ვაკანსიის პროფილს: დიახ ☐ არა ☐

1.2 აკადემიური/სამეცნიერო ხარისხი
შეესაბამება ვაკანსიის პროფილს: დიახ ☐ არა ☐

1.3 სამსახურებრივი გამოცდილება
შეესაბამება ვაკანსიის პროფილს: დიახ ☐ არა ☐

1.4 პედაგოგიური სტაჟი
შეესაბამება ვაკანსიის პროფილს: დიახ ☐ არა ☐

1.5 შეთავსებით მუშაობა
შეესაბამება ვაკანსიის პროფილს: დიახ ☐ არა ☐

1.6 ინფორმაცია კლინიკური ბაზის შესახებ (მხოლოდ მედიცინის ფაკულტეტისათვის)
წარმოდგენილია: დიახ ☐ არა ☐

საერთო შეფასება I კატეგორიის მიხედვით:

კვალიფიკაცია აკმაყოფილებს მოთხოვნებს ☐	**კვალიფიკაცია ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნებს ☐**

II კატეგორია: პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან

2.1 პედაგოგიური გამოცდილება
შეესაბამება ვაკანსიის პროფილს: დიახ ☐ არა ☐

2.2 სასწავლო–მეთოდური საქმიანობა
შეესაბამება ვაკანსიის პროფილს: დიახ ☐ არა ☐

2.3 კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები, ტრენინგები
შეესაბამება ვაკანსიის პროფილს: დიახ ☐ არა ☐

2.4 სასწავლო კურსების დასახელება, რომელთა წაკითხვა შეუძლია კონკურსანტს:

ა) შემოთავაზებული სასწავლო კურსებიდან შესაბამისი პროფილის საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო კურსებია:

სწავლების საფეხური	კურსების რაოდენობა	კურსის სახელწოდება	შენიშვნა
ბაკალავრიატი			
მაგისტრატურა			
დოქტორანტურა			
პროფესიული			
სხვა საგანმანათლებლო პროგრამა			

ბ) შემოთავაზებული სასწავლო კურსებიდან შესაბამისი პროფილის თსუ–ში მოქმედ საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმაში შეტანილი **არ არის:**

სწავლების საფეხური	კურსების რაოდენობა	კურსის სახელწოდება	შენიშვნა
ბაკალავრიატი			
მაგისტრატურა			
დოქტორანტურა			
პროფესიული			
სხვა საგანმანათლებლო პროგრამა			

გ) შემოთავაზებული სასწავლო კურსებიდან სამომავლოდ (პროგრამებში ცვლილების შეტანის შემდეგ) **შეიძლება კურსად განხილულ იქნეს:**

სწავლების საფეხური	კურსების რაოდენობა	კურსის სახელწოდება	შენიშვნა
ბაკალავრიატი			
მაგისტრატურა			
დოქტორანტურა			
პროფესიული			
სხვა საგანმანათლებლო პროგრამა			

2.5 წარმოდგენილი სილაბუსები

ა) წარმოდგენილი სილაბუსების შინაარსი და ფორმა **სრულად შეესაბამება** თსუ–ში დადგენილ მოთხოვნებს ☐

ბ) წარმოდგენილი სილაბუსების შინაარსი და ფორმა **ნაწილობრივ შეესაბამება** თსუ–ში დადგენილ მოთხოვნებს ☐

გ) წარმოდგენილი სილაბუსების შინაარსი და ფორმა არ შეესაბამება თსუ–ში დადგენილ მოთხოვნებს ☐

შეფასება II კატეგორიის მიხედვით:

მაღალი	**საშუალო**	**დაბალი**

III კატეგორია: სამეცნიერო –კვლევითი საქმიანობა:

3.1 პუბლიკაციები იმპაქტ–ფაქტორის მქონე ჟურნალებში	
3.2 სხვა მნიშვნელოვანი პუბლიკაციები (მონოგრაფია, სტატია რეცენზირებად, საერთაშორისო, უცხოურ, ადგილობრივ ჟურნალში, საკონფერენციო მასალები (Proceedings) და სხვ.)	
3.3 პატენტები (გამოგონებები)	
3.4 ციტირების ინდექსი - ... ; *h* - ინდექსი - ...; *g-ინდექსი*	
3.5 მოხსენებები საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებზე ბოლო 6 წლის განმავლობაში	
3.6 მოხსენებები ადგილობრივ სამეცნიერო კონფერენციებზე ბოლო 6 წლის განმავლობაში	
3.7 საგრანტო/სახელშეკრულებო პროექტებში მონაწილეობა ბოლო 6 წლის განმავლობაში	
3.8 თანამშრომლობა უცხოეთის სამეცნიერო ცენტრებთან	

3.9 საკონკურსო კომისიისათვის შესაფასებლად წარმოდგენილი ერთი გამოქვეყნებული ნაშრომი:

3.10 სამეცნიერო კვლევების კონცეფცია/სამოტივაციო წერილი[1]:

საერთო შეფასება III კატეგორიის მიხედვით:

შეფასება	**მაღალი**	**საშუალო**	**დაბალი**
ხელს შეუწყობს კვლევითი პროფილის განვითარებას, საგანმანათლებლო და კვლევითი პროცესების ინტეგრაციას			
ხელს შეუწყობს თსუ–ის ეროვნულ და საერთაშორისო პოპულარობას			

IV კატეგორია: სხვა სახის აქტივობა (ბოლო 6 წელი)

4.1 *(მიღწევები, გამოცდილება, დამსახურება, ჯილდო, სტიპენდია, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელობა/თანახელმძღვანელობა, სტუდენტის ხელმძღვანელობა, ახალგაზრდა თაობის დაინტერესება თსუ–ში სწავლით, კომპიუტერთან მუშაობის უნარები, ენების ცოდნა და სხვ.) -*

4.2 დამატებითი ინფორმაცია

4.3 კლინიკური ბაზა (მხოლოდ მედიცინის ფაკულტეტისათვის) (კლინიკური ბაზის შესაბამისობა ვაკანტური თანამდებობის შესაბამის სამედიცინო პროფილთან; კლინიკური ბაზის შესაძლებლობა უზრუნველყოს სასწავლო-პრაქტიკული და სამეცნიერო საქმიანობა (შესაბამისი ფართი და ინფრასტრუქტურა, სამედიცინო აქტივობა)

შეფასება	**მაღალი**	**საშუალო**	**დაბალი**
კლინიკური ბაზის შესაბამისობა ვაკანტური თანამდებობის შესაბამის სამედიცინო პროფილთან			
კლინიკური ბაზის შესაძლებლობა უზრუნველყოს სასწავლო-პრაქტიკული და სამეცნიერო საქმიანობა			

[1] სამეცნიერო კვლევების კონცეფციის წარმოდგენა სავალდებულოა მხოლოდ იმ აპლიკანტებისთვის, რომელთაც სურთ პროფესორის, ან ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობის დაკავება; ასიტენტ–პროფესორები და ასისტენტები წარმოადგენენ სამოტივაციო წერილს.

საერთო შეფასება IV კატეგორიის მიხედვით

შეფასება	მაღალი ☐	საშუალო ☐	დაბალი ☐
ხელს შეუწყობს ფაკულტეტის კვლევითი და სასწავლო პოტენციალის გაძლიერებას			
ხელს შეუწყობს თსუ–ის შემდგომ წინსვლას და განვითარებას			

შედეგების შეჯამება

გადაწყვეტილება: ----------

კომისიის წევრების ხელმოწერა **თარიღი**

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

№ 38/2017 10 აპრილი 2017 წ.

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის ელეფთერ ანდრონიკაშვილის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტის დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილების, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების" მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „თ^2" ქვეპუნქტის, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტის, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 14 ივლისის №73/2014 დადგენილებით დამტკიცებული აკადემიური საბჭოს რეგლამენტის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „კ^2" ქვეპუნქტისა და სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ელეფთერ ანდრონიკაშვილის ფიზიკის ინსტიტუტის 2017 წლის 7 აპრილის №4873/10-02 წერილის საფუძველზე,

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის ელეფთერ ანდრონიკაშვილის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტის დებულება (დანართი №1).
2. აღნიშნული გადაწყვეტილება დასამტკიცებლად წარედგინოს სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს.
3. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6).
4. დადგენილება ძალაში შედის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

აკადემიკოსი ნოდარ ცინცაძე
აკადემიური საბჭოს სხდომის თავმჯდომარე
აკადემიური საბჭოს წევრი

ილია ჭავჭავაძის გამზ. 1, 0179 თბილისი, საქართველო
1, Ilia Tchavtchavadze Ave., 0179 Tbilisi, Georgia
http://www.tsu.edu.ge

ტელეფონი +(995 32) 2 22 02 41 Tel.
ფაქსი: +(995 32) 2 22 51 07 Fax.
ელ-ფოსტა: academic.council@tsu.ge E-mail

დანართი №1

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის ელეფთერ ანდრონიკაშვილის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტის

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

პ რ ე ა მ ბ უ ლ ა

1950 წლის დეკემბერში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ დააფუძნა ფიზიკის ინსტიტუტი. 2006 წელს ინსტიტუტი გარდაიქმნა საჯარო სამართლის იურიდიულ პირად და გამოვიდა აკადემიის შემადგენლობიდან. ამჟამად ელეფთერ ანდრონიკაშვილის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტი სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შემადგენლობაშია როგორც დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეული.

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში - ,,უნივერსიტეტი“) ელეფთერ ანდრონიკაშვილის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტი (შემდგომში - ,,ინსტიტუტი“) არის უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეული, რომელიც ახორციელებს სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას და რომელსაც ჰყავს მართვის ორგანოები.
2. ინსტიტუტი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს მოქმედი კანონმდებლობით, უნივერსიტეტის წესდებითა და წინამდებარე დებულებით.
3. ინსტიტუტს აქვს ბლანკი და ბეჭედი, საბანკო ქვეანგარიში (ქვეანგარიშები).
4. ინსტიტუტს შეიძლება ჰქონდეს პერიოდული გამოცემა (ჟურნალი, გაზეთი და სხვ.).

მუხლი 2. ინსტიტუტის მიზნები, ფუნქციები და საქმიანობის საგანი

1. ინსტიტუტის მიზანია უნივერსიტეტის ფარგლებში ხელი შეუწყოს სამეცნიერო-კვლევით და სასწავლო პროცესების ეფექტურად წარმართვას, საერთაშორისო სტანდარტების დანერგვასა და სამეცნიერო კადრების მომზადებას. ინსტიტუტის ძირითადი დანიშნულებაა ფიზიკის ფუნდამენტური და გამოყენებითი მიმართულებით სამეცნიერო-კვლევითი, საკონსულტაციო და საექსპერტო საქმიანობის განხორციელება და სამეცნიერო კადრების მომზადება. ასევე უნივერსიტეტის ფარგლებში სამეცნიერო-კვლევითი და სასწავლო პროცესების დაკავშირება და უნივერსიტეტში კვლევისა და სწავლების საერთაშორისო სტანდარტების დანერგვა.
2. ინსტიტუტი თავისი კომპეტენციის ფარგლებში, მოქმედი კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული წესით უფლებამოსილია თავისი კომპეტენციის ფარგლებში განსაზღვროს სამეცნიერო-კვლევითი პროგრამა და კვლევაში პრიორიტეტები, დაამყაროს სამეცნიერო თანამშრომლობა ადგილობრივ და უცხოეთის სამეცნიერო-კვლევით ცენტრებთან, მონაწილეობა მიიღოს საერთაშორისო სამეცნიერო კვლევით კოლაბორაციებში, ჩაატაროს სამეცნიერო კონფერენციები, სემინარები თუ სამეცნიერო ხასიათის სხვა ტიპის ღონისძიებები, მონაწილეობა მიიღოს ერთობლივი სამეცნიერო პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებაში.

3. ინსტიტუტი კანონმდებლობით დადგენილი წესით, უფლებამოსილია მონაწილეობა მიიღოს სასწავლო პროცესში:

ა) მონაწილეობს სტუდენტთა საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო ნაშრომების შესრულებაში;

ბ) უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული წესით მონაწილეობს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების მომზადებასა და განხორციელებაში;

გ) უზრუნველყოფს სტუდენტთა ჩართვას სამეცნიერო საგრანტო პროექტებში, ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებსა და სამეცნიერო-კვლევით ღონისძიებებში.

მუხლი 3. ინსტიტუტის სტრუქტურა

1. ინსტიტუტის სტრუქტურა შედგება ინსტიტუტის მართვის ორგანოების (დირექტორი და ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო) და შემდეგი სამეცნიერო და არასამეცნიერო სტრუქტურული ერთეულებისაგან:

ა) ინსტიტუტის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულებია:

ა.ა) ელემენტარულ ნაწილაკთა ფიზიკის განყოფილება;
ა.ბ) კონდენსირებულ გარემოთა ფიზიკის განყოფილება;
ა.გ) პლაზმის ფიზიკის განყოფილება;
ა.დ) ბიოლოგიური სისტემების ფიზიკის განყოფილება;
ა.ე) გამოყენებითი კვლევების ცენტრი;
ა.ვ) მასობრივი განადგურების იარაღის გაუვრცელებლობის ხელშეწყობის ცენტრი;

ბ) ინსტიტუტის არასამეცნიერო სტრუქტურული ერთეულებია:

ბ.ა) მთავარი ინჟინერის სამსახური;
ბ.ბ) დაცვის სამსახური.

მუხლი 4. ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო

1. ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს ქმნიან ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომლები.
2. სამეცნიერო საბჭო:

ა) განიხილავს და წყვეტს ინსტიტუტის სამეცნიერო მართვისა და განვითარების საკითხებს. შეიმუშავებს ინსტიტუტის სტრატეგიული განვითარების გეგმასა და სამეცნიერო კვლევების წლიურ გეგმებს, რომელთაც დასამტკიცებლად წარუდგენს ინსტიტუტის დირექტორს;

ბ) ისმენს და ამტკიცებს ინსტიტუტის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელთა წლიურ ანგარიშებს და მათ საფუძველზე უზრუნველყოფს ინსტიტუტის წლიური სამეცნიერო ანგარიშის მომზადებას;

გ) უნივერსიტეტის ადმინისტრაციის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულს წარუდგენს ინსტიტუტის წლიურ სამეცნიერო ანგარიშს;

დ) უნივერსიტეტის ადმინისტრაციის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის მოთხოვნის შესაბამისად, აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოს წინაშე ახდენს წლიური სამეცნიერო ანგარიშის ამსახველ პრეზენტაციას;

ე) განიხილავს და აფასებს განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული, ინსტიტუტის გრძელვადიანი სამეცნიერო პროგრამით (შემდგომში „ძირითადი საგრანტო პროექტი“)

გათვალისწინებულ კვლევითი სამუშაოების მიმდინარეობას და ისმენს ცალკეული სტრუქტურული ერთეულებისა და ჯგუფების შესაბამის ანგარიშებს;
ვ) განიხილავს და აფასებს ინსტიტუტის, მიღებული დამატებითი საგრანტო პროექტების ფარგლებში წარმოებული კვლევითი სამუშაოების მდგომარეობას;
ზ) დირექტორთან შეთანხმებით შეიმუშავებს ინსტიტუტის სტრუქტურის ცვლილებების პროექტს და განსახილველად წარუდგენს უნივერსიტეტის რექტორს, უნივერსიტეტის წესდებით განსაზღვრული წესით დამტკიცების უზრუნველსაყოფად;
თ) თავისი შემადგენლობიდან 5 წლის ვადით ირჩევს სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარეს;
ი) სამეცნიერო საბჭო უფლებამოსილია მიიღოს სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის გადაწყვეტილება. გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ხმა მისცა საბჭოს სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტმა;
კ) უფლებამოსილია ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოში საპატიო წევრებად აირჩიოს როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთ მოღვაწე გამოჩენილი მეცნიერები;
ლ) შეარჩევს ინსტიტუტის დირექტორს და უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს წარუდგენს დასამტკიცებლად;
მ) უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში მონაწილეობს კვლევითი კომპონენტის შესრულების მონიტორინგის პროცესში;
ნ) ასრულებს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებით, ასევე წინამდებარე დებულებით გათვალისწინებულ სხვა ფუნქციებს.
3. სამეცნიერო საბჭოს სხდომა უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილებები, თუ მას ესწრება სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი. გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ხმა მისცა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტმა; სამეცნიერო საბჭოს სხდომებში სათათბირო ხმის უფლებით მონაწილეობს ინსტიტუტის სწავლული მდივანი. სწავლული მდივანი შესაძლებელია არ იყოს სამეცნიერო საბჭოს წევრი. საჭიროების შემთხვევაში ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს შეიძლება გააჩნდეს ტექნიკური აპარატი რომელსაც ხელმძღვანელობს საბჭოს სწავლული მდივანი.
4. სამეცნიერო საბჭოს სხდომა იმართება 2 თვეში ერთხელ მაინც დირექტორის, სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის ან სამეცნიერო საბჭოს წევრთა არანაკლებ ერთი მესამედის ინიციატივით. სამეცნიერო საბჭოს რიგგარეშე სხდომის მოწვევის უფლებამოსილება გააჩნიათ ამავე სუბიექტებს, დადგენილი წესით.
5. ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო მონაწილეობს სამეცნიერო პერსონალის სამსახურში მიღების ერთიანი წესის, უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო თანამდებობების დაკავების დამატებითი პირობებისა და სამეცნიერო პერსონალის ატესტაციის წესის შემუშავებაში.
6. ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო მოქმედი კანონმდებლობის, უნივერსიტეტის წესდებისა და წინამდებარე დებულების შესაბამისად, შეიმუშავებს ინსტიტუტის დირექტორის ღია კონკურსის საფუძველზე შერჩევის წესს.

მუხლი 5. სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე და მისი უფლებამოსილებები

1. სამეცნიერო საბჭოს საქმიანობას წარმართავს სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე.
2. სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარეს ირჩევს სამეცნიერო საბჭო, კენჭისყრის საფუძველზე, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, 5 წლის ვადით. საკითხს, სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის ასარჩევად კენჭისყრა ჩატარდეს ღია თუ ფარული წესით წყვეტს სამეცნიერო საბჭო ღია კენჭისყრის საფუძველზე. იმ შემთხვევაში თუ სამეცნიერო საბჭომ კანონმდებლობით დადგენილი წესით მიიღო

გადაწყვეტილება სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის ფარული კენჭისყრით არჩევის შესახებ, სამეცნიერო საბჭო ადგენს ფარული კენჭისყრის ჩატარების პროცედურას.

3. სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე:

ა) უძღვება სამეცნიერო საბჭოს სხდომებს;

ბ) ხელს აწერს სამეცნიერო საბჭოს სხდომის ოქმებს;

გ) ხელმძღვანელობს ინსტიტუტის წლიური სამეცნიერო ანგარიშის მომზადებას;

დ) უნივერსიტეტის ადმინისტრაციის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის მოთხოვნის შესაბამისად, აკადემიურ და წარმომადგენლობით საბჭოს წარუდგენს წლიური სამეცნიერო ანგარიშის ამსახველ პრეზენტაციას;

ე) წარმოადგენს საბჭოს, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, მესამე პირებთან ურთიერთობაში.

მუხლი 6. ინსტიტუტის დირექტორი

1. ინსტიტუტის სამეცნიერო-საორგანიზაციო და ადმინისტრაციულ საქმიანობას ხელმძღვანელობს ინსტიტუტის დირექტორი.

2. ინსტიტუტის დირექტორს შეარჩევს ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო 5 წლის ვადით და დასამტკიცებლად წარუდგენს უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს. კანდიდატურის დამტკიცებაზე აკადემიური საბჭოს დასაბუთებული უარის შემთხვევაში ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო წარადგენს იმავე კანდიდატს ან შეარჩევს სხვა კანდიდატურას. კანდიდატურის დამტკიცებაზე აკადემიური საბჭოს განმეორებითი უარის შემთხვევაში ინსტიტუტის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელს ნიშნავს რექტორი. ასეთ შემთხვევაში ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო ვალდებულია არაუგვიანეს 6 თვისა შეარჩიოს ინსტიტუტის დირექტორის ახალი კანდიდატურა. ინსტიტუტის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი ინიშნება რექტორის მიერ იმ პერიოდამდე, სანამ აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული არ იქნება ინსტიტუტის დირექტორის ახალი კანდიდატურა.

3. ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობა შეიძლება დაიკავოს პირმა, რომელიც აკმაყოფილებს ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის მთავარი მეცნიერი თანამშრომლისთვის დადგენილ მოთხოვნებს და რომლის ასაკი 65 წელს არ აღემატება. თუ პირს არ უკავია ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობა, ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობის დაკავების შემთხვევაში იგი ითვლება აგრეთვე მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე არჩეულად. 65 წლის ასაკის მიღწევა არ იწვევს დირექტორის უფლებამოსილების შეწყვეტას.

4. დირექტორისა და დირექტორის მოადგილის თანამდებობაზე 65 წელს მიღწეული პირის არჩევისა და დანიშვნის, ასევე გათავისუფლების საკითხს წყვეტს უშუალოდ ამ თანამდებობაზე არჩევის/დანიშვნის გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილების მქონე სუბიექტი.

5. ერთმა და იმავე პირმა ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობა ზედიზედ შეიძლება მხოლოდ ორჯერ დაიკავოს.

6. ინსტიტუტის დირექტორი, როგორც მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, არის სამეცნიერო საბჭოს წევრი.

7. ინსტიტუტის დირექტორი:

ა) უზრუნველყოფს ინსტიტუტში სამეცნიერო კვლევების ეფექტურად წარმართვას;

ბ) უნივერსიტეტის შესაბამის მართვის ორგანოებს შესათანხმებლად წარუდგენს ინსტიტუტის სტრატეგიული განვითარების გეგმასა და სამეცნიერო კვლევების მიმდინარე გეგმებს;

გ) თავისი უფლებამოსილების ფარგლებში პასუხისმგებელია უნივერსიტეტის მართვის ორგანოების გადაწყვეტილებების შესრულებაზე;

დ) შეიმუშავებს და შესაბამის მართვის ორგანოებს განსახილველად და დასამტკიცებლად წარუდგენს ინსტიტუტის ყოველწლიური ბიუჯეტისა და საშტატო ნუსხის პროექტს;
ე) პასუხისმგებელია ინსტიტუტის დაფინანსების მიზნობრივ გამოყენებაზე;
ვ) უზრუნველყოფს სამეცნიერო ანგარიშის მოსამზადებლად საორგანიზაციო ღონისძიებების გატარებას;
ზ) ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოსა და უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, არაუგვიანეს ყოველი კალენდარული წლის ბოლოს, წარუდგენს ინფორმაციას მის მიერ შესრულებული სამუშაოს შესახებ;
თ) უფლებამოსილია, კანონმდებლობით დადგენილი წესით, უნივერსიტეტის შესაბამისი მართვის ორგანოების წინაშე დასვას თანამშრომელთა წახალისების ან მათ მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომების გამოყენების საკითხი;
ი) საკუთარი უფლებამოსილების ვადით უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს ინსტიტუტის პერსონალიდან დასანიშნად ან თანამდებობიდან გათავისუფლების მიზნით წარუდგენს ინსტიტუტის დირექტორის მოადგილის/მოადგილეების და სწავლული მდივნის კანდიდატურებს;
კ) უნივერსიტეტის რექტორის ან/და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე და ფარგლებში, წარმოადგენს ინსტიტუტს მესამე პირთან ურთიერთობაში, დებს ხელშეკრულებებს უნივერსიტეტისგან შესაბამისი რწმუნების არსებობის შემთხვევაში;
ლ) თავისი უფლებამოსილების ფარგლებში, გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს - ბრძანებებს;
მ) ახორციელებს წინამდებარე დებულებითა და უნივერსიტეტის წესდებით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.
8. დირექტორის არყოფნის შემთხვევაში, დირექტორის მოვალეობას, მისივე დავალებით, ასრულებს დირექტორის მოადგილე, რაც უნდა ეცნობოს უნივერსიტეტის რექტორს.
9. დირექტორისა და დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის არყოფნის (მივლინება, შვებულება, საავადმყოფო ფურცელზე ყოფნა და სხვ.) შემთხვევაში, ინსტიტუტის დირექტორის მოვალეობის დროებით შესრულება შესაძლებელია დაეკისროს ინსტიტუტის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს დირექტორის/დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის წარდგინებით და რექტორის ბრძანებით.
10. დირექტორის/დირექტორის მოადგილის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საფუძველია:
ა) პირადი განცხადება;
ბ) სასამართლოს მიერ მის მიმართ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის ძალაში შესვლა;
გ) სასამართლოს მიერ შეზღუდულქმედუნარიანად აღიარება ან მხარდაჭერის მიმღებად ცნობა, თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული;
დ) ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს დასაბუთებული წარდგინება;
ე) გარდაცვალება;
ვ) უნივერსიტეტის წესდებით, წინამდებარე დებულებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები.

მუხლი 7. ინსტიტუტის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

1. ინსტიტუტის ძირითადი სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულია განყოფილება (ცენტრი), რომელშიც ხორციელდება მეცნიერების შესაბამისი მიმართულების, როგორც ინსტიტუტის კვლევითი გეგმით, ასევე მიღებული საგრანტო პროექტებით გათვალისწინებული კვლევითი საქმიანობა.

2. განყოფილებაში (ცენტრში) წარმოებულ სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას კოორდინაციას უწევს განყოფილების სამეცნიერო-ტექნიკური საბჭო, ხოლო ზოგად ხელმძღვანელობას ახდენს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი.
3. საჭიროების შემთხვევაში ცალკეული მნიშვნელოვანი სამეცნიერო თემატიკის მიმართულებით კვლევების ეფექტური წარმოების მიზნით განყოფილების (ცენტრის) შიგნით იქმნება დამატებითი სამუშაო ჯგუფები, ლაბორატორიული და სხვა კვლევის წარმოების მიზნით.
4. განყოფილებას (ცენტრს) გააჩნია ინსტიტუტის საერთო საშტატო ნუსხის ფარგლებში დაფიქსირებული საკუთარი საშტატო განაკვეთები.
5. ინსტიტუტის განყოფილების (ცენტრის) საშტატო განაკვეთებში ცვლილება ხორციელდება ინსტიტუტის დირექტორის მიერ სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის წარდგინების საფუძველზე, რაც მტკიცდება კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით დადგენილი წესით.
6. ინსტიტუტის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს ღია კონკურსის საფუძველზე ირჩევს სამეცნიერო საბჭო და ამტკიცებს დირექტორი.
7. ინსტიტუტის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელად შეიძლება აირჩეს პირი, რომელიც აკმაყოფილებს ამ დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის მთავარი ან უფროსი მეცნიერი თანამშრომლისთვის დადგენილ მოთხოვნებს. თუ პირს არ უკავია დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის მთავარი ან უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობა, დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანამდებობაზე არჩევის შემთხვევაში იგი ითვლება აგრეთვე სათანადო სამეცნიერო თანამდებობაზე არჩეულად.
8. ინსტიტუტის სამეცნიერო სტრუქტურულ ერთეულს მართავს ხელმძღვანელი, რომელიც:
ა) შეიმუშავებს სტრუქტურულ ერთეულში განსახორციელებელი საქმიანობის სამუშაო გეგმებს და წარუდგენს სამეცნიერო საბჭოს დასამტკიცებლად;
ბ) შეიმუშავებს სტრუქტურული ერთეულის თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობების პროექტს და წარუდგენს დირექტორს დასამტკიცებლად;
გ) სტრუქტურული ერთეულის კომპეტენციის ფარგლებში, ორგანიზებას უწევს სამეცნიერო კვლევითი საგრანტო პროექტების შემუშავებას;
დ) განიხილავს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს სტრუქტურული ერთეულის სამეცნიერო თანამდებობებზე კონკურსის ჩატარების წესისა და დამატებითი საკვალიფიკაციო პირობების შესახებ;
ე) დირექტორის წინაშე აყენებს სტრუქტურულ ერთეულში თანამდებობის მქონე პირის დისციპლინური პასუხისმგებლობის, თანამდებობიდან გათავისუფლების ან წახალისების საკითხს;
ვ) შეიმუშავებს და დირექტორს წარუდგენს სტრუქტურული ერთეულის დაფინანსების პროექტს;
ზ) პასუხისმგებელია სტრუქტურული ერთეულის ფუნქციებისა და ამოცანების შესრულებაზე.

მუხლი 8. ინსტიტუტის არასამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

1. ინსტიტუტის არასამეცნიერო სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელს ინსტიტუტის დირექტორის წარდგინებით ამტკიცებს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი.
2. ინსტიტუტის არასამეცნიერო სტრუქტურულ ერთეულს მართავს ხელმძღვანელი, რომელიც:
ა) შეიმუშავებს სტრუქტურულ ერთეულში განსახორციელებელი საქმიანობის სამუშაო გეგმებს და წარუდგენს სამეცნიერო საბჭოს დასამტკიცებლად;

ბ) შეიმუშავებს სტრუქტურული ერთეულის თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობების პროექტს და წარუდგენს დირექტორს დასამტკიცებლად;
გ) დირექტორის წინაშე აყენებს სტრუქტურული ერთეულის თანამდებობის მქონე პირის დისციპლინური პასუხისმგებლობის, თანამდებობიდან გათავისუფლების ან წახალისების საკითხს;
დ) შეიმუშავებს და დირექტორს წარუდგენს სტრუქტურული ერთეულის დაფინანსების პროექტს;
ე) პასუხისმგებელია სტრუქტურული ერთეულის ფუნქციებისა და ამოცანების შესრულებაზე.

მუხლი 9. ინსტიტუტის პერსონალი

1. ინსტიტუტის პერსონალი შედგება ადმინისტრაციული, სამეცნიერო და სხვა პერსონალისაგან.
2. ადმინისტრაციულ პერსონალს მიეკუთვნება დირექტორი და დირექტორის მოადგილე.
3. სამეცნიერო პერსონალს მიეკუთვნება მეცნიერი და პოსტდოქტორანტი.
4. მეცნიერები არიან შემდეგი სამეცნიერო თანამდებობის მქონე პირები:
ა) მთავარი მეცნიერი თანამშრომელი;
ბ) უფროსი მეცნიერი თანამშრომელი;
გ) მეცნიერი თანამშრომელი.
5. ინსტიტუტის სხვა პერსონალს მიეკუთვნებიან სპეციალისტები, ლაბორანტები, ინჟინრები და სხვა საშტატო განრიგით გათვალისწინებული თანამდებობები.
6. ინსტიტუტის დირექტორს/მოადგილეს არ შეიძლება ეკავოს ინსტიტუტის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანამდებობა.
7. ინსტიტუტის პერსონალის უფლება-მოვალეობები, ასევე მათი შრომითი ურთიერთობის პირობები განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობით, უნივერსიტეტის წესდებით, წინამდებარე დებულებითა და უნივერსიტეტის სხვა სამართლებრივი აქტებით.

მუხლი 10. ინსტიტუტის სამეცნიერო პერსონალის უფლება-მოვალეობები

1. სამეცნიერო პერსონალი ვალდებულია:
ა) დაიცვას ინსტიტუტის დებულებითა და უნივერსიტეტის შინაგანაწესით დადგენილი მოთხოვნები;
ბ) შეასრულოს შრომითი ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;
გ) გაუფრთხილდეს უნივერსიტეტის/ინსტიტუტის ქონებას;
დ) სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს ყოველწლიურად წარუდგინოს შესრულებული სამუშაოს ანგარიში;
ე) შეასრულოს ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილებები;
ვ) წინამდებარე დებულებით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელებისას გაითვალისწინოს ინსტიტუტის ინტერესები და რეგულარულად მიიღოს მონაწილეობა მიმდინარე ღონისძიებებში;
ზ) გაუფრთხილდეს ინსტიტუტის რეპუტაციას, ხელი შეუწყოს მისი მიზნების განხორციელებას.
2. სამეცნიერო პერსონალს უფლება აქვს:
ა) დამოუკიდებლად განახორციელოს სამეცნიერო კვლევა და შეუზღუდავად გამოაქვეყნოს კვლევის შედეგები, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მათი შეზღუდვა ხელშეკრულებით არის გათვალისწინებული ან ისინი შეიცავენ სახელმწიფო საიდუმლოებას;
ბ) დამოუკიდებლად განსაზღვროს სამეცნიერო კვლევის შინაარსი, კვლევის მეთოდები და საშუალებები;
გ) მონაწილეობა მიიღოს საგრანტო დაფინანსების მოპოვების მიზნით გამოცხადებულ კონკურსებში, მიიღოს დაფინანსება, ისარგებლოს ინდივიდუალური საგრანტო დაფინანსებით, აგრეთვე, მიიღოს

ანაზღაურება კანონმდებლობით ნებადართული სხვა საქმიანობის შედეგად ინსტიტუტის მიერ მიღებული შემოსავლებიდან;
დ) ისარგებლოს უნივერსიტეტის/ინსტიტუტის ბიბლიოთეკითა და სხვა ქონებით;
ე) განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობითა და ამ დებულებით მისთვის მინიჭებული სხვა უფლებამოსილებანი.
3. სამეცნიერო პერსონალის შრომითი ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის საფუძველია მოქმედი კანონმდებლობით და უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული შემთხვევები.

მუხლი 11. სამეცნიერო თანამდებობის დაკავების წესი

1. სამეცნიერო თანამდებობის დაკავება შეიძლება მხოლოდ ღია კონკურსის საფუძველზე, რომელიც უნდა ჩატარდეს გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპების შესაბამისად.
2. უნივერსიტეტის წესდებით განსაზღვრული ვადით, მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, რომელსაც აქვს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება და აკმაყოფილებს უნივერსიტეტის წესდებით განსაზღვრულ დამატებით პირობებს.
3. უვადოდ მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, რომელსაც აქვს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება, აკმაყოფილებს უნივერსიტეტის წესდებით განსაზღვრულ დამატებით პირობებს და რომელსაც აქვს განსაკუთრებული სამეცნიერო მიღწევები (სამეცნიერო პუბლიკაციები წამყვან ადგილობრივ და საერთაშორისო ჟურნალებსა და სხვა გამოცემებში, მიღებული აქვს მონაწილეობა ეროვნულ და საერთაშორისო სამეცნიერო - კვლევით პროექტებში და სხვ.
4. უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, რომელსაც აქვს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი. პირი უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობას იკავებს 7 წლის ვადით.
5. მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, რომელსაც აქვს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი. პირი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობას იკავებს 4 წლის ვადით.
6. პოსტდოქტორანტად აკადემიური საბჭოს მიერ განსაზღვრული წესით შეიძლება აირჩეს პირი, რომელსაც აქვს დოქტორის აკადემიური ხარისხი.
7. პირის, მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე 5 წელზე მეტი ვადით არჩევის შემთხვევაში, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი 5 წელიწადში ერთხელ ექვემდებარება ატესტაციის გავლას უნივერსიტეტის წესდებითა და ატესტაციის ჩატარების ერთიანი წესისა და პირობებით განსაზღვრული წესით.
8. ატესტაციის გავლას არ ექვემდებარება მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე არჩეული პირი, რომელიც მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე არჩეულია 5 წელზე მეტი ვადით, მაგრამ მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე არჩევიდან 5 წლის შემდეგ დარჩენილი აქვს უფლებამოსილების 5 წელზე ნაკლები ვადა.

მუხლი 12. ინსტიტუტის ქონება და საფინანსო-სამეურნეო საქმიანობა

1. ინსტიტუტი სარგებლობს უნივერსიტეტის მიერ ინსტიტუტისათვის გამოყოფილი სამეცნიერო და საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა საქმიანობისთვის აუცილებელი უძრავ-

მოძრავი ქონებით და პასუხისმგებელია ამ ქონების მოვლა-პატრონობასა და ეფექტურად (მიზნობრივად) გამოყენებაზე.

2. ინსტიტუტის დაფინანსების წყარო შეიძლება იყოს:

ა) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიზნობრივად გამოყოფილი თანხები;

ბ) ხელშეკრულების საფუძველზე შესრულებული სამუშაოდან მიღებული შემოსავალი;

გ) გრანტებით მიღებული შემოსავალი;

დ) შემოწირულობები;

ე) საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული დაფინანსების სხვა წყარო.

3. ინსტიტუტის საქმიანობით მოზიდული სახსრები გამოიყენება უნივერსიტეტისა და ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევითი პოტენციალის შემდგომი განვითარებისათვის ან/და პერსონალის შრომის ანაზღაურებისათვის.

მუხლი 13. ინსტიტუტის ლიკვიდაცია

1. ინსტიტუტის ლიკვიდაციის საფუძველი შეიძლება გახდეს:

ა) ინსტიტუტის დებულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობა;

ბ) უნივერსიტეტის წესდებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევა.

მუხლი 14. დასკვნითი დებულებები, ინსტიტუტის დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი

1. ინსტიტუტის დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება საქართველოს კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის წესდებით დადგენილი წესით.

2. წინამდებარე დებულება ძალაში შედის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

№ 41/2017 1 მაისი 2017 წ.

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის - ალექსანდრე თვალჭრელიძის სახელობის მინერალური ნედლეულის კავკასიის ინსტიტუტის დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილების, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „თ^2“ ქვეპუნქტის, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 14 ივლისის №73/2014 დადგენილებით დამტკიცებული აკადემიური საბჭოს რეგლამენტის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „კ^2“ ქვეპუნქტისა და სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კავკასიის ალექსანდრე თვალჭრელიძის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტის 2017 წლის 21 აპრილის №5446/10-02 წერილის საფუძველზე,

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის - ალექსანდრე თვალჭრელიძის სახელობის მინერალური ნედლეულის კავკასიის ინსტიტუტის დებულება (დანართი №1).
2. აღნიშნული გადაწყვეტილება დასამტკიცებლად წარედგინოს სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს.
3. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6).
4. დადგენილება ძალაში შედის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

გიორგი შარვაშიძე
რექტორი
აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე

დანართი №1

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის - ალექსანდრე თვალჭრელიძის სახელობის მინერალური ნედლეულის კავკასიის ინსტიტუტის დებულება

პ რ ე ა მ ბ უ ლ ა

ალექსანდრე თვალჭრელიძის სახელობის მინერალური ნედლეულის კავკასიის ინსტიტუტი სხვადასხვა იურიდიულ-სამართლებრივი ფორმით არსებობს 1929 წლის 1 თებერვლიდან. ინსტიტუტი, როგორც მინერალური ნედლეულის სრულიად საკავშირო ინსტიტუტის კავკასიის ფილიალი შეიქმნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მინერალოგიისა და პეტროგრაფიის კათედრაზე, ხოლო მოგვიანებით იგი ჩამოყალიბდა დამოუკიდებელი ინსტიტუტის სახით, რომელიც იკვლევდა სასარგებლო წიაღისეულის საბადოებს კავკასიის ტერიტორიაზე. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ინსტიტუტი შევიდა საქართველოს გეოლოგიის სახელმწიფო დეპარტამენტის შემადგენლობაში დამოუკიდებელი ერთეულის სახით. 2001 წლიდან ინსტიტუტი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაექვემდებარა როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირი. 2010 წლის 10 სექტემბრიდან საქართველოს მთავრობის დადგენილებით (№274) ინსტიტუტი რეორგანიზებულ იქნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით სტრუქტურულ ერთეულად.

თავი I. ზოგადი დებულებები

მუხლი 1. ინსტიტუტის სტატუსი

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში - ,,უნივერსიტეტი“) ალექსანდრე თვალჭრელიძის სახელობის მინერალური ნედლეულის კავკასიის ინსტიტუტი (შემდგომში - ,,ინსტიტუტი“) არის უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეული, რომელიც ახორციელებს სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას და რომელსაც ჰყავს მართვის ორგანოები.
2. ინსტიტუტი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს მოქმედი კანონმდებლობით, უნივერსიტეტის წესდებითა და წინამდებარე დებულებით.
3. ინსტიტუტს აქვს ბლანკი და ბეჭედი, საბანკო ქვეანგარიში (ქვეანგარიშები) და უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე ინსტიტუტის განყოფილება.

მუხლი 2. ინსტიტუტის მიზნები, ფუნქციები და საქმიანობის საგანი

1. ინსტიტუტის მიზანია უნივერსიტეტის ფარგლებში ხელი შეუწყოს სამეცნიერო-კვლევითი და სასწავლო პროცესების ეფექტურად წარმართვასა და საერთაშორისო სტანდარტების დანერგვას, სამეცნიერო კადრების მომზადებას. ინსტიტუტის დანიშნულებაა თეორიული და გამოყენებითი სამეცნიერო-კვლევითი, საკონსულტაციო და საექსპერტო საქმიანობის განხორციელება, გამოყენებითი მიმართულების (მათ შორის საპროექტო და ტექნოლოგიური) სამუშაოების წარმოება სახელმწიფო ან კერძო სექტორის დაკვეთით, კერძოდ:

ა) საქართველოს მინერალური რესურსული ბაზის უზრუნველყოფა ახალი ტექნოლოგიებითა და მეთოდებით. სამთო-გეოლოგიური დარგების პრიორიტეტების დადგენა და მათი განვითარებისათვის ხელშეწყობა ახალი ტექნოლოგიების შექმნა და მოზიდვა;

ბ) სასარგებლო წიაღისეულის კომპლექსური შესწავლა და მისი რაციონალური გამოყენებისათვის რეკომენდაციების მომზადება;

გ) გეოლოგიურ გარემოზე ზემოქმედების მომხდენი დინამიური პროცესების შესწავლა და მათი შესაძლო პროგნოზირების კვლევა;

დ) სასარგებლო ნამარხთა საბადოების (ენერგეტიკული, ლითონური და არალითონური ნედლეულის) ფორმირებისა და სივრცობრივი განაწილების კანონზომიერების კვლევა, მათი პროგნოზირება;

ე) მყარი სასარგებლო წიაღისეულის გამდიდრებისა და გადამუშავების ახალი, უნარჩენო, კომპლექსური, ენერგოდამზოგი ტექნოლოგიების შემუშავება და არსებულის სრულყოფა;

ვ) მინერალური ნედლეულიდან ახალი სახის გამიზნული თვისებების მქონე პროდუქციის მიღების მეთოდების დამუშავება და ამ პროდუქციის გამოყენების სფეროების განსაზღვრა;

ზ) სამთო მრეწველობის ნარჩენების უტილიზაციისა და ჩამდინარე წყლების გაწმენდის ტექნოლოგიური მეთოდების შემუშავება-გაუმჯობესება;

თ) გეოლოგიური სამუშაოების ეკონომიკური ეფექტურობის კრიტერიუმების შემუშავება;

ი) მინერალური ნედლეულის ეკონომიკური შეფასება და მარკეტინგული კვლევები.

2. ინსტიტუტი უფლებამოსილია თავისი კომპეტენციის ფარგლებში განსაზღვროს საინსტიტუტო პრიორიტეტები და სამეცნიერო-კვლევითი პროგრამა, ჩაატაროს სამეცნიერო კონფერენციები და სამეცნიერო ხასიათის სხვა ტიპის ღონისძიებები, დაამყაროს სამეცნიერო კონტაქტები ადგილობრივ და უცხოეთის წამყვან სამეცნიერო-კვლევით ცენტრებთან, აქტიური მონაწილეობა მიიღოს საერთაშორისო სამეცნიერო კვლევებში (ერთობლივი სამეცნიერო პროგრამები, საერთაშორისო ფორუმები, სამეცნიერო გრანტები, გაცვლითი სამეცნიერო პროგრამები და სხვა თემატური აქტივობები.

3. ინსტიტუტი კანონმდებლობით დადგენილი წესით, უფლებამოსილია მონაწილეობა მიიღოს სასწავლო პროცესში, ასევე:
ა) მონაწილეობს სტუდენტთა საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო ნაშრომების შესრულებაში;
ბ) უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული წესით მონაწილეობს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების მომზადებასა და განხორციელებაში;
გ) უზრუნველყოფს სტუდენტთა ჩართვას სამეცნიერო საგრანტო პროექტებში, ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებსა და სამეცნიერო-კვლევით ღონისძიებებში.
4. უნივერსიტეტი უფლებამოსილია კანონმდებლობით დადგენილი წესით ჩართოს ინსტიტუტი უნივერსიტეტის დამხმარე ეკონომიკური საქმიანობის, მათ შორის საპროექტო და ტექნოლოგიური საქმიანობის, წიაღით სარგებლობისა და სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავების მიზნით განხორციელებად საქმიანობაში.

თავი II. ინსტიტუტის სტრუქტურა და მართვა

მუხლი 3. ინსტიტუტის სტრუქტურა

1. ინსტიტუტის სტრუქტურა შედგება ინსტიტუტის მართვის ორგანოების (დირექტორი და ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო) და შემდეგი სამეცნიერო და არასამეცნიერო სტრუქტურული ერთეულებისაგან:
ა) სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულებია:
ა.ა) მყარი სასარგებლო წიაღისეულის სამეცნიერო-კვლევითი განყოფილება;
ა.ბ) ენერგეტიკული რესურსებისა და ახალი ტექნოლოგიების სამეცნიერო-კვლევითი განყოფილება;
ა.გ) გეოეკოლოგიისა და გამოყენებითი გეოქიმიის სამეცნიერო-კვლევითი განყოფილება;
ა.დ) საინჟინრო-გეოლოგიური, გეოფიზიკური და ჰიდროგეოლოგიური სამეცნიერო-კვლევითი განყოფილება;
ა.ე) რეგიონული გეოლოგიისა და კარტირების სამეცნიერო-კვლევითი განყოფილება;
ა.ვ) მინერალური ნედლეულის ეკონომიკისა და სტრატეგიული დაგეგმარების სამეცნიერო-კვლევითი განყოფილება;
ა.ზ) სასარგებლო წიაღისეულის გამდიდრების და ჩამდინარე წყლების გაწმენდის სამეცნიერო-კვლევითი განყოფილება;
ა.თ) ბიოტექნოლოგიური სამეცნიერო-კვლევითი განყოფილება;
ა.ი) სილიკატებისა და საშენი მასალების ტექნოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი განყოფილება;
ა.კ) საგამოცდო ცენტრი „გეოანალიტიკა“.
ბ) არასამეცნიერო სტრუქტურული ერთეულებია:
ბ.ა) ინფორმაციის განყოფილება.

2. საჭიროების შემთხვევაში ცალკეული მნიშვნელოვანი სამეცნიერო თემატიკის მიმართულებით კვლევების ეფექტური წარმოებისთვის განყოფილების შიგნით იქმნება დამატებითი სამუშაო ჯგუფები, ლაბორატორიული და სხვა კვლევების წარმოების მიზნით.
3. ინსტიტუტის სტრუქტურული ერთეულების უფლებამოვალეობები განისაზღვრება ცალკეული სტრუქტურული ერთეულების დებულებით, რომელსაც ამტკიცებს ინსტიტუტის დირექტორი.

მუხლი 4. ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო

1. ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს ქმნიან ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომლები.
2. სამეცნიერო საბჭო:
ა) განიხილავს და წყვეტს დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო მართვისა და განვითარების საკითხებს. შეიმუშავებს ინსტიტუტის სტრატეგიული განვითარების გეგმასა და სამეცნიერო კვლევების მიმდინარე გეგმებს, რასაც ამტკიცებს ინსტიტუტის დირექტორი;
ბ) ისმენს და ამტკიცებს ინსტიტუტის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელთა წლიურ ანგარიშებს და მათ საფუძველზე უზრუნველყოფს ინსტიტუტის წლიური სამეცნიერო ანგარიშის მომზადებას;
გ) უნივერსიტეტის ადმინისტრაციის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულს წარუდგენს ინსტიტუტის წლიურ სამეცნიერო ანგარიშს;
დ) უნივერსიტეტის ადმინისტრაციის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის მოთხოვნის შესაბამისად, აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოს წინაშე ახდენს წლიური სამეცნიერო ანგარიშის ამსახველ პრეზენტაციას;
ე) დირექტორთან შეთანხმებით შეიმუშავებს ინსტიტუტის სტრუქტურის ცვლილებების პროექტს და განსახილველად წარუდგენს უნივერსიტეტის რექტორს უნივერსიტეტის წესდებით განსაზღვრული წესით დამტკიცების უზრუნველსაყოფად;
ვ) თავისი შემადგენლობიდან 5 წლის ვადით ირჩევს სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარეს;
ზ) სამეცნიერო საბჭო უფლებამოსილია მიიღოს სამეცნიერო საბჭოს თვმჯდომარის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის გადაწყვეტილება. გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ხმა მისცა საბჭოს სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტმა;
თ) უფლებამოსილია ინსტიტუტის საპატიო წევრებად აირჩიოს საქართველოში თუ საზღვარგარეთ მოღვაწე გამოჩენილი მეცნიერები;
ი) შეარჩევს ინსტიტუტის დირექტორს და წარუდგენს უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად;
კ) უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში მონაწილეობს კვლევითი კომპონენტის შესრულების მონიტორინგის პროცესში;

ლ) ასრულებს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებით, ასევე წინამდებარე დებულებით გათვალისწინებულ სხვა ფუნქციებს.
3. სამეცნიერო საბჭოს სხდომა უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილებები, თუ მას ესწრება სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი. გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ხმა მისცა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტმა.
4. სამეცნიერო საბჭოს სხდომა იმართება 2 თვეში ერთხელ მაინც დირექტორის, სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის ან სამეცნიერო საბჭოს წევრთა არანაკლებ ერთი მესამედის ინიციატივით. სამეცნიერო საბჭოს რიგგარეშე სხდომის მოწვევის უფლებამოსილება გააჩნიათ ამავე სუბიექტებს, დადგენილი წესით.
5. ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო მონაწილეობს სამეცნიერო პერსონალის სამსახურში მიღების ერთიანი წესის, უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო თანამდებობის დაკავების დამატებითი პირობებისა და სამეცნიერო პერსონალის ატესტაციის წესის შემუშავებაში.
6. ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო მოქმედი კანონმდებლობის, უნივერსიტეტის წესდებისა და წინამდებარე დებულების შესაბამისად, შეიმუშავებს ინსტიტუტის დირექტორის ღია კონკურსის საფუძველზე შერჩევის წესს.

მუხლი 5. ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე და მისი უფლებამოსილებები

1. სამეცნიერო საბჭოს საქმიანობას წარმართავს სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე.
2. სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარეს ირჩევს სამეცნიერო საბჭო, კენჭისყრის საფუძველზე, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, 5 წლის ვადით. საკითხს, სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის ასარჩევად კენჭისყრა ჩატარდეს ღია თუ ფარული წესით წყვეტს სამეცნიერო საბჭო ღია კენჭისყრის საფუძველზე. იმ შემთხვევაში თუ სამეცნიერო საბჭომ კანონმდებლობით დადგენილი წესით მიიღო გადაწყვეტილება სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის ფარული ჯენჭისყრით არჩევის შესახებ, სამეცნიერო საბჭო ადგენს ფარული კენჭისყრის ჩატარების პროცედურას.
3. სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე:
ა) უძღვება სამეცნიერო საბჭოს სხდომებს;
ბ) ხელს აწერს სამეცნიერო საბჭოს სხდომის ოქმებს;
გ) ხელმძღვანელობს ინსტიტუტის წლიური სამეცნიერო ანგარიშის მომზადებას;
დ) წარმოადგენს საბჭოს, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, მესამე პირებთან ურთიერთობაში.

მუხლი 6. ინსტიტუტის დირექტორი

1. ინსტიტუტის სამეცნიერო-საორგანიზაციო და ადმინისტრაციულ საქმიანობას ხელმძღვანელობს ინსტიტუტის დირექტორი.

2. ინსტიტუტის დირექტორს შეარჩევს ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო 5 წლის ვადით და დასამტკიცებლად წარუდგენს უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს. კანდიდატურის დამტკიცებაზე აკადემიური საბჭოს დასაბუთებული უარის შემთხვევაში ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო წარადგენს იმავე კანდიდატს ან შეარჩევს სხვა კანდიდატურას. კანდიდატურის დამტკიცებაზე აკადემიური საბჭოს განმეორებითი უარის შემთხვევაში ინსტიტუტის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელს ნიშნავს რექტორი. ასეთ შემთხვევაში ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო ვალდებულია არაუგვიანეს 6 თვისა შეარჩიოს ინსტიტუტის დირექტორის ახალი კანდიდატურა. ინსტიტუტის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი ინიშნება რექტორის მიერ იმ პერიოდამდე, სანამ აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული არ იქნება ინსტიტუტის დირექტორის კანდიდატურა.

3. ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობა შეიძლება დაიკავოს პირმა, რომელიც აკმაყოფილებს ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის მთავარი მეცნიერი თანამშრომლისთვის დადგენილ მოთხოვნებს და რომლის ასაკი 65 წელს არ აღემატება. თუ პირს არ უკავია ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობა, ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობის დაკავების შემთხვევაში იგი ითვლება აგრეთვე მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე არჩეულად. 65 წლის ასაკის მიღწევა არ იწვევს დირექტორის უფლებამოსილების შეწყვეტას.

4. დირექტორისა და დირექტორის მოადგილის თანამდებობაზე 65 წელს მიღწეული პირის დანიშვნისა და არჩევის, ასევე გათავისუფლების საკითხს წყვეტს უშუალოდ ამ თანამდებობაზე არჩევის/დანიშვნის გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილების მქონე სუბიექტი.

5. ერთმა და იმავე პირმა ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობა ზედიზედ შეიძლება მხოლოდ ორჯერ დაიკავოს.

6. ინსტიტუტის დირექტორი, როგორც მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, არის სამეცნიერო საბჭოს წევრი.

7. ინსტიტუტის დირექტორი:

ა) უზრუნველყოფს ინსტიტუტში სამეცნიერო კვლევების ეფექტურად წარმართვას;

ბ) უნივერსიტეტის შესაბამის მართვის ორგანოებს შესათანხმებლად წარუდგენს ინსტიტუტის სტრატეგიული განვითარების გეგმასა და სამეცნიერო კვლევების მიმდინარე გეგმებს;

გ) თავისი უფლებამოსილების ფარგლებში პასუხისმგებელია უნივერსიტეტის მართვის ორგანოების გადაწყვეტილებების შესრულებაზე;

დ) შეიმუშავებს და შესაბამის მართვის ორგანოებს განსახილველად და დასამტკიცებლად წარუდგენს ინსტიტუტის ყოველწლიური ბიუჯეტისა და საშტატო ნუსხის პროექტს;

ე) პასუხისმგებელია ინსტიტუტის დაფინანსების მიზნობრივ გამოყენებაზე;

ვ) უზრუნველყოფს სამეცნიერო ანგარიშის მოსამზადებლად საორგანიზაციო ღონისძიებების გატარებას;

ზ) ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოსა და უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, არაუგვიანეს ყოველი კალენდარული წლის ბოლოს, წარუდგენს ინფორმაციას მის მიერ შესრულებული სამუშაოს შესახებ;

თ) უფლებამოსილია, კანონმდებლობით დადგენილი წესით, უნივერსიტეტის შესაბამისი მართვის ორგანოების წინაშე დასვას თანამშრომელთა წახალისების ან მათ მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომების გამოყენების საკითხი;

ი) საკუთარი უფლებამოსილების ვადით უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს ინსტიტუტის პერსონალიდან დასანიშნად ან თანამდებობიდან გათავისუფლების მიზნით წარუდგენს ინსტიტუტის დირექტორის მოადგილის/მოადგილეების და სწავლული მდივნის კანდიდატურებს;

კ) უნივერსიტეტის რექტორის ან/და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე და ფარგლებში, წარმოადგენს ინსტიტუტს მესამე პირთან ურთიერთობაში, კანონმდებლობით დადგენილი წესით შესაბამისი რწმუნების (მინდობილობის) არსებობის შემთხვევაში დებს ხელშეკრულებებს, მათ შორის შრომით ურთიერთობებზე;

ლ) თავისი უფლებამოსილების ფარგლებში, გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს - ბრძანებებს;

მ) ახორციელებს წინამდებარე დებულებითა და უნივერსიტეტის წესდებით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

8. დირექტორის არყოფნის შემთხვევაში, დირექტორის მოვალეობას, მისივე დავალებით, ასრულებს დირექტორის მოადგილე, რაც უნდა ეცნობოს უნივერსიტეტის რექტორს.

9. დირექტორისა და დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის არყოფნის (მივლინება, შვებულება, საავადმყოფო ფურცელზე ყოფნა და სხვ.) შემთხვევაში, ინსტიტუტის დირექტორის მოვალეობის დროებით შესრულება შესაძლებელია დაეკისროს ინსტიტუტის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს დირექტორის/დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის წარდგინებით, რექტორის ბრძანებით.

10. დირექტორის/დირექტორის მოადგილის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საფუძველია:

ა) პირადი განცხადება;

ბ) სასამართლოს მიერ მის მიმართ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის ძალაში შესვლა;

გ) სასამართლოს მიერ შეზღუდულქმედუნარიანად აღიარება ან მხარდაჭერის მიმღებად ცნობა, თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული;

დ) ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს დასაბუთებული წარდგინება;

ე) გარდაცვალება;

ვ) უნივერსიტეტის წესდებით, წინამდებარე დებულებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები.

მუხლი 7. ინსტიტუტის სამეცნიერო და არასამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

1. ინსტიტუტის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს ღია კონკურსის საფუძველზე ირჩევს სამეცნიერო საბჭო და ამტკიცებს დირექტორი.
2. ინსტიტუტის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელად შეიძლება აირჩეს პირი, რომელიც აკმაყოფილებს ამ დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის მთავარი ან უფროსი მეცნიერი თანამშრომლისთვის დადგენილ მოთხოვნებს. თუ პირს არ უკავია დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის მთავარი ან უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობა, დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანამდებობაზე არჩევის შემთხვევაში იგი ითვლება აგრეთვე სათანადო სამეცნიერო თანამდებობაზე არჩეულად.
3. ინსტიტუტის არასამეცნიერო სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელს ინსტიტუტის დირექტორის წარდგინებით ამტკიცებს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი.
4. ინსტიტუტის სამეცნიერო/არასამეცნიერო სტრუქტურულ ერთეულს მართავს ხელმძღვანელი, რომელიც:
ა) შეიმუშავებს სტრუქტურულ ერთეულში განსახორციელებელი საქმიანობის სამუშაო გეგმებს და წარუდგენს სამეცნიერო საბჭოს დასამტკიცებლად;
ბ) შეიმუშავებს სტრუქტურული ერთეულის თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობების პროექტს და წარუდგენს დირექტორს დასამტკიცებლად;
გ) სტრუქტურული ერთეულის კომპეტენციის ფარგლებში, ორგანიზებას უწევს სამეცნიერო-კვლევითი საგრანტო პროექტების შემუშავებას;
დ) განიხილავს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს სტრუქტურული ერთეულის სამეცნიერო თანამდებობებზე კონკურსის ჩატარების წესისა და დამატებითი საკვალიფიკაციო პირობების შესახებ;
ე) დირექტორის წინაშე აყენებს სტრუქტურულ ერთეულში თანამდებობის მქონე პირის დისციპლინური პასუხისმგებლობის, თანამდებობიდან გათავისუფლების ან წახალისების საკითხს;
ვ) შეიმუშავებს და დირექტორს წარუდგენს სტრუქტურული ერთეულის დაფინანსების პროექტს;
ზ) პასუხისმგებელია სტრუქტურული ერთეულის ფუნქციებისა და ამოცანების შესრულებაზე.

მუხლი 8. ინსტიტუტის პერსონალი

1. ინსტიტუტის პერსონალი შედგება ადმინისტრაციული, სამეცნიერო და სხვა პერსონალისაგან.

2. ადმინისტრაციულ პერსონალს მიეკუთვნება დირექტორი და დირექტორის მოადგილე.
3. სამეცნიერო პერსონალს მიეკუთნება მეცნიერი და პოსტდოქტორანტი.
4. მეცნიერები არიან შემდეგი სამეცნიერო თანამდებობის მქონე პირები:
ა) მთავარი მეცნიერი თანამშრომელი;
ბ) უფროსი მეცნიერი თანამშრომელი;
გ) მეცნიერი თანამშრომელი.
5. ინსტიტუტის სხვა პერსონალს მიეკუთვნებიან სპეციალისტები, ლაბორანტები, ინჟინრები და სხვა საშტატო განრიგით გათვალისწინებული თანამდებობები.
6. ინსტიტუტის დირექტორს/მოადგილეს არ შეიძლება ეკავოს ინსტიტუტის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანამდებობა.
7. ინსტიტუტის პერსონალის უფლება-მოვალეობები, ასევე მათი შრომითი ურთიერთობის პირობები განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობით, უნივერსიტეტის წესდებით, წინამდებარე დებულებითა და უნივერსიტეტის სხვა სამართლებრივი აქტებით.

მუხლი 9. ინსტიტუტის სამეცნიერო პერსონალის უფლება-მოვალეობები

1. სამეცნიერო პერსონალს უფლება აქვს:
ა) დამოუკიდებლად განახორციელოს სამეცნიერო კვლევა და შეუზღუდავად გამოაქვეყნოს კვლევის შედეგები, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მათი შეზღუდვა ხელშეკრულებით არის გათვალისწინებული ან ისინი შეიცავენ სახელმწიფო საიდუმლოებას;
ბ) დამოუკიდებლად განსაზღვროს სამეცნიერო კვლევის შინაარსი, კვლევის მეთოდები და საშუალებები;
გ) მონაწილეობა მიიღოს საგრანტო დაფინანსების მოპოვების მიზნით გამოცხადებულ კონკურსებში, მიიღოს დაფინანსება, ისარგებლოს ინდივიდუალური საგრანტო დაფინანსებით, აგრეთვე, მიიღოს ანაზღაურება კანონმდებლობით ნებადართული სხვა საქმიანობის შედეგად ინსტიტუტის მიერ მიღებული შემოსავლებიდან;
დ) ისარგებლოს უნივერსიტეტის/ინსტიტუტის ბიბლიოთეკითა და სხვა ქონებით;
ე) განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობითა და ამ დებულებით მისთვის მინიჭებული სხვა უფლებამოსილებანი.
2. სამეცნიერო პერსონალი ვალდებულია:
ა) დაიცვას ინსტიტუტის დებულებითა და უნივერსიტეტის შინაგანაწესით დადგენილი მოთხოვნები;
ბ) შეასრულოს შრომითი ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;
გ) გაუფრთხილდეს უნივერსიტეტის/ინსტიტუტის ქონებას;
დ) სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს ყოველწლიურად წარუდგინოს შესრულებული სამუშაოს ანგარიში;
ე) შეასრულოს ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილებები;

ვ) წინამდებარე დებულებით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელებისას გაითვალისწინოს ინსტიტუტის ინტერესები და რეგულარულად მიიღოს მონაწილეობა მიმდინარე ღონისძიებებში;
ზ) გაუფრთხილდეს ინსტიტუტის რეპუტაციას, ხელი შეუწყოს მისი მიზნების განხორციელებას.
3. სამეცნიერო პერსონალის შრომითი ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის საფუძველია მოქმედი კანონმდებლობით და უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული შემთხვევები.

მუხლი 10. სამეცნიერო თანამდებობის დაკავების წესი

1. სამეცნიერო თანამდებობის დაკავება შეიძლება მხოლოდ ღია კონკურსის საფუძველზე, რომელიც უნდა ჩატარდეს გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპების შესაბამისად.
2. უნივერსიტეტის წესდებით განსაზღვრული ვადით, მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, რომელსაც აქვს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება და აკმაყოფილებს უნივერსიტეტის წესდებით განსაზღვრულ დამატებით პირობებს.
3. უვადოდ მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, რომელსაც აქვს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება, აკმაყოფილებს უნივერსიტეტის წესდებით განსაზღვრულ დამატებით პირობებს და რომელსაც აქვს განსაკუთრებული სამეცნიერო მიღწევები (სამეცნიერო პუბლიკაციები წამყვან ადგილობრივ და საერთაშორისო ჟურნალებსა და სხვა გამოცემებში, მიღებული აქვს მონაწილეობა ეროვნულ და საერთაშორისო სამეცნიერო - კვლევით პროექტებში და სხვ.).
4. უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, რომელსაც აქვს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი. პირი უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობას იკავებს 7 წლის ვადით.
5. მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, რომელსაც აქვს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი. პირი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობას იკავებს 4 წლის ვადით.
6. პოსტდოქტორანტად აკადემიური საბჭოს მიერ განსაზღვრული წესით შეიძლება აირჩეს პირი, რომელსაც აქვს დოქტორის აკადემიური ხარისხი.
7. პირის, მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე 5 წელზე მეტი ვადით არჩევის შემთხვევაში, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი 5 წელიწადში ერთხელ ექვემდებარება ატესტაციის გავლას უნივერსიტეტის წესდებითა და ატესტაციის ჩატარების ერთიანი წესისა და პირობებით განსაზღვრული წესით.

8. ატესტაციის გავლას არ ექვემდებარება მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე არჩეული პირი, რომელიც მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე არჩეულია 5 წელზე მეტი ვადით, მაგრამ მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე არჩევიდან 5 წლის შემდეგ დარჩენილი აქვს უფლებამოსილების 5 წელზე ნაკლები ვადა.

მუხლი 11. ინსტიტუტის ქონება და საფინანსო-სამეურნეო საქმიანობა

1. ინსტიტუტი სარგებლობს უნივერსიტეტის მიერ ინსტიტუტისათვის გამოყოფილ სამეცნიერო და საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა საქმიანობისთვის აუცილებელი უძრავ-მოძრავი ქონებით და პასუხისმგებელია ამ ქონების მოვლა-პატრონობასა და ეფექტურად (მიზნობრივად) გამოყენებაზე.
2. ინსტიტუტის დაფინანსების წყარო შეიძლება იყოს:
ა) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიზნობრივად გამოყოფილი თანხები;
ბ) ხელშეკრულების საფუძველზე შესრულებული სამუშაოდან მიღებული შემოსავალი;
გ) გრანტებით მიღებული შემოსავალი;
დ) შემოწირულობები;
ე) საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული დაფინანსების სხვა წყარო.
3. ინსტიტუტის საქმიანობით მოზიდული სახსრები გამოიყენება უნივერსიტეტისა და ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევითი პოტენციალის შემდგომი განვითარებისათვის ან/და პერსონალის შრომის ანაზღაურებისათვის.

მუხლი 12. ინსტიტუტის ლიკვიდაცია

1. ინსტიტუტის ლიკვიდაციის საფუძველი შეიძლება გახდეს:
ა) ინსტიტუტის დებულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობა;
ბ) უნივერსიტეტის წესდებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევა.

მუხლი 13. დასკვნითი დებულებები, ინსტიტუტის დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი

1. ინსტიტუტის დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება საქართველოს კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის წესდებით დადგენილი წესით.
2. წინამდებარე დებულება ძალაში შედის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო

დადგენილება

№ 42/2017 1 მაისი 2017 წ.

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევითი ერთეულის - რაფიელ აგლაძის სახელობის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტის დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილების, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „თ^2“ ქვეპუნქტის, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 14 ივლისის №73/2014 დადგენილებით დამტკიცებული აკადემიური საბჭოს რეგლამენტის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „კ^2“ ქვეპუნქტისა და სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რაფიელ აგლაძის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტის 2017 წლის 27 აპრილის №5684/10-02 წერილის საფუძველზე,

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის - რაფიელ აგლაძის სახელობის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტის დებულება (დანართი №1).
2. აღნიშნული გადაწყვეტილება დასამტკიცებლად წარედგინოს სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს.
3. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6).
4. დადგენილება ძალაში შედის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

გიორგი შარვაშიძე
რექტორი
აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე

დანართი №1

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევითი ერთეულის - რაფიელ აგლაძის სახელობის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტის დებულება

პრეამბულა

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის რაფიელ აგლაძის სახელობის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტი დაარსებული იყო 1956 წელს, რომლის ბაზაზეც საქართველოს მთავრობის 2006 წლის 16 მარტის N58 დადგენილების შესაბამისად შეიქმნა სსიპ რაფიელ აგლაძის არაორგანული ქიმიის და ელექტროქიმიის ინსტიტუტი, რომელიც საქართველოს მთავრობის 2010 წლის 9 ივლისის N185 დადგენილების შესაბამისად რეორგანიზებულ იქნა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ერთეულად.

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში - ,,უნივერსიტეტი“) რაფიელ აგლაძის სახელობის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტი (შემდგომში -,,ინსტიტუტი“) არის უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეული, რომელიც ახორციელებს სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას და რომელსაც ჰყავს მართვის ორგანოები.
2. ინსტიტუტი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს მოქმედი კანონმდებლობით, უნივერსიტეტის წესდებითა და წინამდებარე დებულებით.
3. ინსტიტუტს აქვს ბლანკი და ბეჭედი, საბანკო ქვეანგარიში (ქვეანგარიშები).
4. ინსტიტუტს შეიძლება ჰქონდეს პერიოდული გამოცემები (ჟურნალი, გაზეთი და სხვ.).
5. ინსტიტუტის ოფიციალური სახელწოდება ინგლისურ ენაზე: “Raphiel Agladze Institute of Inorganic Chemistry and Electrochemistry of Ivane Javakhishvili Tbilisi State University”, ინსტიტუტის სახელწოდების აბრევიატურაა: „IICE-TSU”.

მუხლი 2. ინსტიტუტის მიზნები, ფუნქციები, საქმიანობის საგანი და ამოცანები

1. ინსტიტუტის მიზანია უნივერსიტეტის ფარგლებში ხელი შეუწყოს სამეცნიერო-კვლევითი და სასწავლო პროცესების ეფექტურად წარმართვას, საერთაშორისო სტანდარტების დანერგვასა და სამეცნიერო კადრების მომზადებას. ინსტიტუტის დანიშნულებაა ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევების განხორციელება ქვეყნისათვის აუცილებელი სტრატეგიული კვლევების პროგრამებში მონაწილეობა,

ახალი ცოდნის მიღება და ქვეყნის სამეცნიერო-ტექნოლოგიური პროგრესის ხელშეწყობა, კერძოდ:

ა) სამეცნიერო-კვლევითი, საკონსულტაციო და საექსპერტო საქმიანობის განხორციელება;

ბ) სამეცნიერო საქმიანობისათვის ყოველმხრივი ხელშეწყობა;

გ) ახალი ტექნოლოგიების შექმნა, ანალიზი და გავრცელება;

დ) საერთაშორისო სამეცნიერო თანამშრომლობის განვითარება;

ე) ინსტიტუტის სამეცნიერო პერსონალის მობილობის წახალისება;

ვ) ახალი სამეცნიერო პერსონალის მომზადებაში და გადამზადებაში მონაწილეობის მიღება.

2. ინსტიტუტის ამოცანებია:

ა) თავისი კომპეტენციის ფარგლებში განსაზღვროს საინსტიტუტო პრიორიტეტები და განახორციელოს ფუნდამენტური და გამოყენებითი სამეცნიერო კვლევითი საქმიანობა;

ბ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით განახორციელოს: სამეცნიერო-კვლევით საქმიანობასთან დაკავშირებული დამხმარე ეკონომიკური საქმიანობა, მათ შორის საპროექტო და ტექნოლოგიური საქმიანობა; უზრუნველყოს საკონსულტაციო-დიაგნოსტიკური და საექსპერტო საქმიანობა; ორგანიზება გაუწიოს სამეცნიერო კონფერენციებსა და სხვა ღონისძიებებს, ითანამშრომლოს საქართველოს და უცხოეთის კვლევით დაწესებულებებთან, მონაწილეობა მიიღოს სამეცნიერო საერთაშორისო ღონისძიებებში, მონაწილეობა მიიღოს ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტურანტურის საგანმანათლებლო პროგრამების მომზადებასა და განხორციელებაში, აგრეთვე სტუდენტთა მიერ საბაკალავრო და სამაგისტრო, სადოქტორო ნაშრომების შესრულებაში, ჩართოს სტუდენტები სამეცნიერო, საგრანტო პროექტებში;

გ) სამეცნიერო–კვლევითი პროდუქციის წარმოებაში გაშვების მიზნით კლასტერის ორგანიზება/ან მასში მონაწილეობა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

დ) სამეცნიერო-საბიბლიოთეკო, საპატენტო-სალიცენზიო, საარქივო, სატრანსპორტო და სატელეკომუნიკაციო სისტემების ფუნქციონირებისათვის განხორციელებულ საქმიანობაში მონაწილეობა სამეცნიერო კვლევების უზრუნველსაყოფად;

ე) სამეცნიერო ჟურნალების, მეთოდური რეკომენდაციების, მონოგრაფიების, სამეცნიერო შრომების კრებულებისა და სხვა ბეჭდური მასალის გამოცემა, რომლებიც ინსტიტუტის სამეცნიერო საქმიანობის შედეგებს ასახავს;

ვ) ინტელექტუალური საქმიანობის შედეგად მიღებული საავტორო უფლებების გამოყენება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

ზ) ლიცენზირებად საქმიანობაში მონაწილეობა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

თ) ინოვაციური საქმიანობის განხორციელება;

ი) განახორციელოს ყველა სხვა საქმიანობა, რომელიც არ ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობასა და უნივერსიტეტის სამართლებრივ აქტებს და არ შედის უნივერსიტეტის სხვა სტრუქტურების კომპეტენციაში.

3. ინსტიტუტი უფლებამოსილია თავისი კომპეტენციის ფარგლებში:
ა) განსაზღვროს კვლევის პრიორიტეტები და სამეცნიერო-კვლევითი პროგრამა;
ბ) მონაწილეობა მიიღოს სახელმწიფოს დაკვეთით განსახორციელებელ კვლევებში;
გ) ითანამშრომლოს იურიდიულ და ფიზიკურ პირებთან მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;
დ) ითანამშრომლოს პროფილურ უმაღლეს საგანმანათლებლო და კვლევით დაწესებულებებთან სამეცნიერო კვლევების განხორციელებისა და სამეცნიერო კადრების მომზადების კუთხით კანონმდებლობით დადგენილი წესით;
ე) ჩაატაროს სამეცნიერო კონფერენციები და სამეცნიერო ხასიათის სხვა ტიპის ღონისძიებები;
ვ) დაამყაროს სამეცნიერო კონტაქტები ადგილობრივ და უცხოეთის წამყვან სამეცნიერო-კვლევით ცენტრებთან;
ზ) აქტიური მონაწილეობა მიიღოს საერთაშორისო სამეცნიერო კვლევებში (ერთობლივი სამეცნიერო პროგრამები, საერთაშორისო ფორუმები, სამეცნიერო გრანტები, გაცვლითი სამეცნიერო პროგრამები და სხვა თემატური აქტივობები);
თ) ისარგებლოს სხვა უფლებებით, რომელიც არ ეწინააღმდეგება უნივერსიტეტის წესდებას, წინამდებარე დებულებას და საქართველოს კანონმდებლობას.
4. ინსტიტუტი კანონმდებლობით დადგენილი წესით, უფლებამოსილია მონაწილეობა მიიღოს სასწავლო პროცესში, ასევე:
ა) მონაწილეობს სტუდენტთა საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო ნაშრომების შესრულებაში;
ბ) უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული წესით მონაწილეობს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების მომზადებასა და განხორციელებაში;
გ) უზრუნველყოფს სტუდენტთა ჩართვას სამეცნიერო საგრანტო პროექტებში, ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებსა და სამეცნიერო-კვლევით ღონისძიებებში.

მუხლი 3. ინსტიტუტის მართვა და სტრუქტურა

1. ინსტიტუტის მართვას ახორციელებენ: ინსტიტუტის დირექტორი და ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო. ინსტიტუტის სტრუქტურა შედგება ინსტიტუტის მართვის ორგანოების (დირექტორი და ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო) და სამეცნიერო და არასამეცნიერო სტრუქტურული ერთეულებისაგან.
2. ინსტიტუტის სტრუქტურა ყალიბდება და იცვლება ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილებით, ინსტიტუტის მიზნების, ამოცანების, ფუნქციების, შესაძლო დაფინანსებისა და საქმიანობის შესაბამისად. ინსტიტუტის სტრუქტურას ინსტიტუტის დირექტორის წარდგინებით განიხილავს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო და ამტკიცებს უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო.
3. ინსტიტუტის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულებია:
ა) რევაზ დოღონაძის სახელობის თეორიულ კვლევათა ლაბორატორია;

ბ) გიორგი აგლაძის სახელობის ელექტროქიმიისა და ელექტრომეტალურგიის ლაბორატორია;
გ) ლევან ჯაფარიძის სახელობის დენის ქიმიური წყაროებისა და საელექტროდე მასალების ლაბორატორია;
დ) ჯონდო ჯაფარიძის სახელობის არაწყალხსნართა ელექტროქიმიის ლაბორატორია;
ე) აპოლონ ავალიანის სახელობის ლღობილთა ელექტროლიზის ლაბორატორია;
ვ) ელენე ნანობაშვილის სახელობის რადიაციული ქიმიის ლაბორატორია;
ზ) ნიკოლოზ ლანდიას სახელობის თერმოქიმიის ლაბორატორია;
თ) კატალიზის ლაბორატორია;
ი) ადგილობრივი წიაღისეულისა და მინერალური ნედლეულის ქიმიური გადამუშავების ლაბორატორია;
კ) არაორგანული ნაერთების ფიზიკა-ქიმიის ლაბორატორია;
ლ) ფიზიკურ-ქიმიური ანალიზის ლაბორატორია.
4. ინსტიტუტის არასამეცნიერო სტრუქტურული ერთეულებია:
ა) ბიბლიოთეკა;
ბ) ტექნოლოგიების დანერგვის ხელშეწყობის ცენტრი;
გ) ინსტრუმენტული ანალიზის ცენტრი;
დ) მაიონიზირებელი გამოსხივების ცენტრი;
ე) სახელოსნო;
ვ) სატრანსპორტო მეურნეობა.

მუხლი 4. ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო

1. ინსტიტუტის სამეცნიერო საქმიანობას ხელმძღვანელობს ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო, რომელსაც ქმნიან ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომლები.
2. სამეცნიერო საბჭოს სხდომა იმართება 2 თვეში ერთხელ მაინც დირექტორის, სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის ან სამეცნიერო საბჭოს წევრთა არანაკლებ ერთი მესამედის ინიციატივით. სამეცნიერო საბჭოს რიგგარეშე სხდომის მოწვევის უფლებამოსილება გააჩნიათ ამავე სუბიექტებს, დადგენილი წესით.
3. სამეცნიერო საბჭოს სხდომა უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილებები, თუ მას ესწრება სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი. გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ხმა მისცა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტმა. ხმათა თანაბარი განაწილების შემთხვევაში გადამწყვეტია სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის ხმა.
4. სამეცნიერო საბჭო გადაწყვეტილებას იღებს ღია კენჭისყრის საფუძველზე.
5. სამეცნიერო საბჭოს მდივნის ფუნქციას ითავსებს ინსტიტუტის სწავლული მდივანი.
6. სამეცნიერო საბჭოს წევრს შეიძლება ვადაზე ადრე შეუწყდეს უფლებამოსილება შემდეგ შემთხვევებში:
ა) ინსტიტუტის სამეცნიერო თანამდებობიდან გათავისუფლებისას;
ბ) გარდაცვალებისას;
გ) კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

7. ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო:
ა) განიხილავს და წყვეტს დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო მართვისა და განვითარების საკითხებს. შეიმუშავებს ინსტიტუტის სტრატეგიული განვითარების გეგმასა და სამეცნიერო კვლევების მიმდინარე გეგმებს, რასაც ამტკიცებს ინსტიტუტის დირექტორი;
ბ) ისმენს და ამტკიცებს ინსტიტუტის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელთა, ცალკეულ მეცნიერთა საქმიანობის წლიურ ანგარიშებს და მათ საფუძველზე უზრუნველყოფს ინსტიტუტის წლიური სამეცნიერო ანგარიშის მომზადებას;
გ) უნივერსიტეტის ადმინისტრაციის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულს წარუდგენს ინსტიტუტის წლიურ სამეცნიერო ანგარიშს;
დ) უნივერსიტეტის ადმინისტრაციის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის მოთხოვნის შესაბამისად, აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოს წინაშე ახდენს წლიური სამეცნიერო ანგარიშის ამსახველ პრეზენტაციას;
ე) ინსტიტუტის დირექტორთან შეთანხმებით შეიმუშავებს, ინსტიტუტის სტრუქტურის ცვლილებების პროექტს და განსახილველად წარუდგენს უნივერსიტეტის რექტორს, უნივერსიტეტის წესდებით განსაზღვრული წესით დამტკიცების უზრუნველსაყოფად;
ვ) თავისი შემადგენლობიდან 5 წლის ვადით ირჩევს სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარეს;
ზ) სამეცნიერო საბჭო უფლებამოსილია მიიღოს სამეცნიერო საბჭოს თვმჯდომარის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის გადაწყვეტილება. გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ხმა მისცა საბჭოს სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტმა;
თ) უფლებამოსილია ინსტიტუტის საპატიო წევრებად აირჩიოს საქართველოში თუ საზღვარგარეთ მოღვაწე გამოჩენილი მეცნიერები;
ი) შეარჩევს ინსტიტუტის დირექტორს და წარუდგენს უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად;
კ) უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში მონაწილეობს კვლევითი კომპონენტის შესრულების მონიტორინგის პროცესში;
ლ) ითანხმებს ინსტიტუტის დირექტორის მიერ შემუშავებული წინამდებარე დებულების ცვლილების პროექტს;
მ) განიხილავს სხვა საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებებთან სამეცნიერო კანონმდებლობით დადგენილი წესით თანამშრომლობის საკითხებს;
ნ) ასრულებს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებით, ასევე წინამდებარე დებულებით გათვალისწინებულ სხვა ფუნქციებს.
8. ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო მონაწილეობს სამეცნიერო პერსონალის სამსახურში მიღების ერთიანი წესის, უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო თანამდებობის დაკავების დამატებით პირობებისა და სამეცნიერო პერსონალის ატესტაციის წესის შემუშავებაში.
9. ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო მოქმედი კანონმდებლობის, უნივერსიტეტის წესდებისა და წინამდებარე დებულების შესაბამისად, შეიმუშავებს ინსტიტუტის

დირექტორის და სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულების ღია კონკურსის საფუძველზე შერჩევის წესს. სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულების ღია კონკურსის პროცედურის ორგანიზების მიზნით დირექტორის ბრძანებით იქმნება სამდივნო.

მუხლი 5. სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე და მისი უფლებამოსილებები

1. სამეცნიერო საბჭოს საქმიანობას წარმართავს სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე.
2. სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარეს ირჩევს სამეცნიერო საბჭო, კენჭისყრის საფუძველზე, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, 5 წლის ვადით.
3. საკითხს, სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის ასარჩევად კენჭისყრა ჩატარდეს ღია თუ ფარული წესით წყვეტს სამეცნიერო საბჭო ღია კენჭისყრის საფუძველზე. იმ შემთხვევაში თუ სამეცნიერო საბჭომ კანონმდებლობით დადგენილი წესით მიიღო გადაწყვეტილება სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის ფარული ჯენჭისყრით არჩევის შესახებ, სამეცნიერო საბჭო ადგენს ფარული კენჭისყრის ჩატარების პროცედურას.
4. სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე:

ა) უძღვება სამეცნიერო საბჭოს სხდომებს;
ბ) ხელს აწერს სამეცნიერო საბჭოს სხდომის ოქმებს;
გ) ხელმძღვანელობს ინსტიტუტის წლიური სამეცნიერო ანგარიშის მომზადებას;
დ) წარმოადგენს საბჭოს, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, მესამე პირებთან ურთიერთობაში.

მუხლი 6.ინსტიტუტის დირექტორი

1. ინსტიტუტის სამეცნიერო-საორგანიზაციო და ადმინისტრაციულ საქმიანობას ხელმძღვანელობს ინსტიტუტის დირექტორი, რომელიც თავისი კომპეტენციის ფარგლებში პასუხისმგებელია ინსტიტუტის საქმიანობის კანონიერებაზე.
2. ინსტიტუტის დირექტორს შეარჩევს ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო 5 წლის ვადით და დასამტკიცებლად წარუდგენს უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს. კანდიდატურის დამტკიცებაზე აკადემიური საბჭოს დასაბუთებული უარის შემთხვევაში ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო წარადგენს იმავე კანდიდატს ან შეარჩევს სხვა კანდიდატურას.
3. კანდიდატურის დამტკიცებაზე აკადემიური საბჭოს განმეორებითი უარის შემთხვევაში ინსტიტუტის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელს ნიშნავს რექტორი. ასეთ შემთხვევაში ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო ვალდებულია არაუგვიანეს 6 თვისა შეარჩიოს ინსტიტუტის დირექტორის ახალი კანდიდატურა. ინსტიტუტის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი ინიშნება რექტორის მიერ იმ პერიოდამდე, სანამ აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული არ იქნება ინსტიტუტის დირექტორის კანდიდატურა.
4. ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობა შეიძლება დაიკავოს პირმა, რომელიც აკმაყოფილებს ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის მთავარი მეცნიერი თანამშრომლისთვის დადგენილ მოთხოვნებს და რომლის ასაკი 65 წელს არ აღემატება.

თუ პირს არ უკავია ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობა, ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობის დაკავების შემთხვევაში იგი ითვლება აგრეთვე მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე არჩეულად. 65 წლის ასაკის მიღწევა არ იწვევს დირექტორის უფლებამოსილების შეწყვეტას.

5. დირექტორისა და დირექტორის მოადგილის თანამდებობაზე 65 წელს მიღწეული პირის დანიშვნისა და არჩევის, ასევე გათავისუფლების საკითხს წყვეტს უშუალოდ ამ თანამდებობაზე არჩევის/დანიშვნის გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილების მქონე სუბიექტი.

6. ერთმა და იმავე პირმა ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობა ზედიზედ შეიძლება მხოლოდ ორჯერ დაიკავოს.

7. ინსტიტუტის დირექტორი, როგორც მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, არის სამეცნიერო საბჭოს წევრი.

8. ინსტიტუტის დირექტორი:

ა) უზრუნველყოფს ინსტიტუტში სამეცნიერო კვლევების ეფექტურად წარმართვის ორგანიზებას;

ბ) უნივერსიტეტის შესაბამის მართვის ორგანოებს შესათანხმებლად წარუდგენს ინსტიტუტის სტრატეგიული განვითარების გეგმასა და სამეცნიერო კვლევების მიმდინარე გეგმებს;

გ) თავისი უფლებამოსილების ფარგლებში პასუხისმგებელია უნივერსიტეტის მართვის ორგანოების გადაწყვეტილებების შესრულებაზე;

დ) შეიმუშავებს და შესაბამის მართვის ორგანოებს განსახილველად და დასამტკიცებლად წარუდგენს ინსტიტუტის ყოველწლიური ბიუჯეტისა და საშტატო ნუსხის პროექტს;

ე) კანონმდებლობის შესაბამისად პასუხისმგებელია ინსტიტუტის დაფინანსების მიზნობრივ გამოყენებაზე;

ვ) ხელმძღვანელობს ინსტიტუტის საქმიანობის ანგარიშის მომზადებას და უნივერსიტეტის შესაბამის მართვის ორგანოს, ყოველი კალენდარული წლის ბოლოს, წარუდგენს ინფორმაციას ინსტიტუტის მიერ შესრულებული სამუშაოს შესახებ;

ზ) ხელს უწყობს საქართველოსა და უცხო ქვეყნების სამეცნიერო და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან კონტაქტების განვითარებას;

თ) უფლებამოსილია, კანონმდებლობით დადგენილი წესით, უნივერსიტეტის შესაბამისი მართვის ორგანოების წინაშე დასვას თანამშრომელთა წახალისების ან მათ მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომების გამოყენების საკითხი;

ი) თავისი უფლებამოსილების ფარგლებში, გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს - ბრძანებებს;

კ) საკუთარი უფლებამოსილების ვადით უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს ინსტიტუტის პერსონალიდან დასანიშნად ან თანამდებობიდან გათავისუფლების მიზნით წარუდგენს ინსტიტუტის დირექტორის მოადგილის/მოადგილეების და სწავლული მდივნის კანდიდატურებს;

ლ) უნივერსიტეტის რექტორის ან/და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე და ფარგლებში, წარმოადგენს ინსტიტუტს მესამე პირთან ურთიერთობაში, დებს ხელშეკრულებებს უნივერსიტეტისგან შესაბამისი რწმუნების არსებობის შემთხვევაში;
მ) წყვეტს ინსტიტუტის მიმდინარე საქმიანობის მატერიალურ–ტექნიკური უზრუნველყოფის საკითხებს;
ნ) ახორციელებს წინამდებარე დებულებითა და უნივერსიტეტის წესდებით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.
9. დირექტორის არყოფნის შემთხვევაში, დირექტორის მოვალეობას, მისივე დავალებით, ასრულებს დირექტორის მოადგილე, რაც უნდა ეცნობოს უნივერსიტეტის რექტორს.
10. დირექტორისა და დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის არყოფნის (მივლინება, შვებულება, საავადმყოფო ფურცელზე ყოფნა და სხვ.) შემთხვევაში, ინსტიტუტის დირექტორის მოვალეობის დროებით შესრულება შესაძლებელია დაეკისროს ინსტიტუტის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს დირექტორის/დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის წარდგინებით, რექტორის ბრძანებით.
11. დირექტორის/დირექტორის მოადგილის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საფუძველია:
ა) პირადი განცხადება;
ბ) სასამართლოს მიერ მის მიმართ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის ძალაში შესვლა;
გ) სასამართლოს მიერ შეზღუდულქმედუნარიანად აღიარება ან მხარდაჭერის მიმღებად ცნობა, თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული;
დ) ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს დასაბუთებული წარდგინება;
ე) გარდაცვალება;
ვ) უნივერსიტეტის წესდებით, წინამდებარე დებულებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები.

მუხლი 7. სწავლული მდივანი

1. მიმდინარე სამეცნიერო საქმიანობის ორგანიზებას უწევს სწავლული მდივანი, რომელიც ითავსებს ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს მდივნის ფუნქციასაც.
2. სწავლულ მდივანს ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოსთან შეთანხმებით და ინსტიტუტის დირექტორის წარდგინებით ნიშნავს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი.
3. სწავლული მდივნის კანდიდატურა შეირჩევა ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომლებისაგან, რომელსაც აქვს სამეცნიერო–ორგანიზაციული მუშაობის გამოცდილება.
4. სწავლული მდივანი:

ა) ადგენს სამეცნიერო ღონისძიებათა ოქმებს და გეგმებს;
ბ) საპუბლიკაციოდ ამზადებს კვლევის შედეგებს, პრეზენტაციებს და სტატიებს;
გ) ადგენს ინსტიტუტის სამეცნიერო ანგარიშის პროექტებს;
დ) ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს ინსტიტუტის მართვის ორგანოების მითითებით.
5. სწავლული მდივანი ანგარიშვალდებულია ინსტიტუტის მართვის ორგანოების წინაშე.

მუხლი 8. ინსტიტუტის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

1. ინსტიტუტის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს ღია კონკურსის საფუძველზე ირჩევს სამეცნიერო საბჭო და ამტკიცებს დირექტორი.
2. ინსტიტუტის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელად შეიძლება აირჩეს პირი, რომელიც აკმაყოფილებს ამ დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის მთავარი ან უფროსი მეცნიერი თანამშრომლისთვის დადგენილ მოთხოვნებს. თუ პირს არ უკავია დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის მთავარი ან უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობა, დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანამდებობაზე არჩევის შემთხვევაში იგი ითვლება აგრეთვე სათანადო სამეცნიერო თანამდებობაზე არჩეულად. პირი სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანამდებობაზე აირჩევა დაკავებული სამეცნიერო თანამდებობის ვადის შესაბამისად.
3. ინსტიტუტის სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი:
ა) ხელმძღვანელობს სტრუქტურულ ერთეულს შესაბამისი დარგის მიხედვით;
ბ) შეიმუშავებს სტრუქტურულ ერთეულში განსახორციელებელი საქმიანობის სამუშაო გეგმებს და წარუდგენს სამეცნიერო საბჭოს დასამტკიცებლად;
გ) სტრუქტურული ერთეულის კომპეტენციის ფარგლებში, ორგანიზებას უწევს სამეცნიერო-კვლევითი საგრანტო პროექტების შემუშავებას;
დ) განიხილავს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს სტრუქტურული ერთეულის სამეცნიერო თანამდებობებზე კონკურსის ჩატარების წესისა და დამატებითი საკვალიფიკაციო პირობების შესახებ;
ე) შეიმუშავებს და დირექტორს წარუდგენს სტრუქტურული ერთეულის დაფინანსების პროექტს;
ვ) დირექტორის წინაშე აყენებს სამეცნიერო თანამდებობიდან პირის გათავისუფლების ან პირის წახალისების საკითხს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
ზ) ინსტიტუტის მიზნებისა და ამოცანების უზრუნველსაყოფად, ინსტიტუტის მართვის ორგანოების დავალებით ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს;
თ) პასუხისმგებელია სტრუქტურული ერთეულის ფუნქციებისა და ამოცანების შესრულებაზე.

მუხლი 9. არასამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

1. ინსტიტუტის არასამეცნიერო სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელს ინსტიტუტის დირექტორის წარდგინებით ამტკიცებს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი.
2. ინსტიტუტის არასამეცნიერო სტრუქტურულ ერთეულს მართავს ხელმძღვანელი, რომელიც:
ა) შეიმუშავებს სტრუქტურული ერთეულის თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობების პროექტს და წარუდგენს დირექტორს დასამტკიცებლად;
ბ) უფლებამოსილების ფარგლებში ხელს აწერს სტრუქტურული ერთეულის მიერ მომზადებულ დოკუმენტებს;
გ) ინსტიტუტის დირექტორს წარუდგენს სტრუქტურული ერთეულის მიერ გაწეული საქმიანობის მიმდინარე და წლიურ ანგარიშებს;
დ) შუამდგომლობს იმ სახსრების, მოწყობილობებისა და ინვენტარის გამოყოფაზე, რაც აუცილებელია სტრუქტურული ერთეულის წინაშე მდგარი ფუნქციებისა და ამოცანების შესასრულებლად;
ე) შუამდგომლობს სტრუქტურული ერთეულის თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების თაობაზე;
ვ) პასუხისმგებელია სამსახურის თანამშრომლების მიერ შრომითი დისციპლინის დაცვაზე;
ზ) დირექტორის წინაშე აყენებს სტრუქტურულ ერთეულში თანამდებობის მქონე პირის დისციპლინური პასუხისმგებლობის, თანამდებობიდან გათავისუფლების ან წახალისების საკითხს.

მუხლი 10. ინსტიტუტის პერსონალი

1. ინსტიტუტის პერსონალი შედგება ადმინისტრაციული, სამეცნიერო და სხვა პერსონალისაგან.
2. ადმინისტრაციულ პერსონალს მიეკუთვნება დირექტორი და დირექტორის მოადგილე, ხოლო სამეცნიერო პერსონალს მიეკუთნებიან მეცნიერები და პოსტდოქტორანტები, რომლებიც უშუალოდ წარმართავენ სამეცნიერო კვლევებს ან/და მონაწილეობენ მათში.
3. მეცნიერები არიან შემდეგი სამეცნიერო თანამდებობის მქონე პირები:
ა) მთავარი მეცნიერი თანამშრომელი;
ბ) უფროსი მეცნიერი თანამშრომელი;
გ) მეცნიერი თანამშრომელი.
4. ინსტიტუტის სხვა პერსონალს მიეკუთვნებიან სპეციალისტები, ლაბორანტები, ინჟინრები და საშტატო განრიგით გათვალისწინებული სხვა თანამდებობები.
5. ინსტიტუტის დირექტორს/მოადგილეს არ შეიძლება ეკავოს ინსტიტუტის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანამდებობა.

6. ინსტიტუტის სამეცნიერო, ადმინისტრაციული და სხვა პერსონალის ჩამონათვალი განისაზღვრება უნივერსიტეტის საშტატო განრიგით.
7. ინსტიტუტის პერსონალის უფლება-მოვალეობები, ასევე მათი შრომითი ურთიერთობის პირობები, განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობით, უნივერსიტეტის წესდებით, წინამდებარე დებულებითა და უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით.

მუხლი 11. სამეცნიერო თანამდებობის დაკავების წესი

1. სამეცნიერო თანამდებობის დაკავება შეიძლება მხოლოდ ღია კონკურსის საფუძველზე, რომელიც უნდა ჩატარდეს გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპების შესაბამისად.
2. უნივერსიტეტის წესდებით განსაზღვრული ვადით, მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, რომელიც აკმაყოფილებს მოქმედი საკანონმდებლო აქტების, უნივერსიტეტის წესდებისა და უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო პერსონალის სამსახურში მიღების ერთიანი წესისა და სამეცნიერო თანამდებობის დაკავების დამატებითი პირობების მოთხოვნებს.
3. უვადოდ მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, რომელიც აკმაყოფილებს მოქმედი საკანონმდებლო აქტების, უნივერსიტეტის წესდებისა და უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო პერსონალის სამსახურში მიღების ერთიანი წესისა და სამეცნიერო თანამდებობის დაკავების დამატებითი პირობების მოთხოვნებს.
4. უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის 7 წლის ვადით დაკავება შეუძლია პირს, რომელიც აკმაყოფილებს მოქმედი საკანონმდებლო აქტების, უნივერსიტეტის წესდებისა და უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო პერსონალის სამსახურში მიღების ერთიანი წესისა და სამეცნიერო თანამდებობის დაკავების დამატებითი პირობების მოთხოვნებს.
5. მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დაკავება 4 წლის ვადით შეუძლია პირს, რომელიც აკმაყოფილებს მოქმედი საკანონმდებლო აქტების, უნივერსიტეტის წესდებისა და უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო პერსონალის სამსახურში მიღების ერთიანი წესისა და სამეცნიერო თანამდებობის დაკავების დამატებითი პირობების მოთხოვნებს.
6. პოსტდოქტორანტად აკადემიური საბჭოს მიერ განსაზღვრული წესით შეიძლება აირჩეს პირი, რომელსაც აქვს დოქტორის აკადემიური ხარისხი.
7. პირის, მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე 5 წელზე მეტი ვადით არჩევის შემთხვევაში, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი 5 წელიწადში ერთხელ ექვემდებარება ატესტაციის გავლას უნივერსიტეტის წესდებითა და ატესტაციის ჩატარების ერთიანი წესისა და პირობებით განსაზღვრული წესით.

8. ატესტაციის გავლას არ ექვემდებარება მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე არჩეული პირი, რომელიც მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე არჩეულია 5 წელზე მეტი ვადით, მაგრამ მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე არჩევიდან 5 წლის შემდეგ დარჩენილი აქვს უფლებამოსილების 5 წელზე ნაკლები ვადა.
9. ინსტიტუტის სამეცნიერო თანამდებობების დაკავების დამატებითი პირობები განისაზღვრება უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო პერსონალის სამსახურში მიღების ერთიანი წესის ფარგლებში.

მუხლი 12. ინსტიტუტის სამეცნიერო პერსონალის უფლება-მოვალეობები

1. სამეცნიერო პერსონალს უფლება აქვს:
ა) დამოუკიდებლად განახორციელოს სამეცნიერო კვლევა და შეუზღუდავად გამოაქვეყნოს კვლევის შედეგები, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მათი შეზღუდვა ხელშეკრულებით არის გათვალისწინებული ან ისინი შეიცავენ სახელმწიფო საიდუმლოებას;
ბ) დამოუკიდებლად განსაზღვროს სამეცნიერო კვლევის შინაარსი, კვლევის მეთოდები და საშუალებები;
გ) მონაწილეობა მიიღოს საგრანტო დაფინანსების მოპოვების მიზნით გამოცხადებულ კონკურსებში, მიიღოს დაფინანსება, ისარგებლოს ინდივიდუალური საგრანტო დაფინანსებით, აგრეთვე, მიიღოს ანაზღაურება კანონმდებლობით ნებადართული სხვა საქმიანობის შედეგად ინსტიტუტის მიერ მიღებული შემოსავლებიდან;
დ) ისარგებლოს უნივერსიტეტის/ინსტიტუტის ბიბლიოთეკითა და სხვა ქონებით;
ე) განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობითა და ამ დებულებით მისთვის მინიჭებული სხვა უფლებამოსილებანი.
2. სამეცნიერო პერსონალი ვალდებულია:
ა) დაიცვას ინსტიტუტის დებულებითა და უნივერსიტეტის შინაგანაწესით დადგენილი
მოთხოვნები;
ბ) შეასრულოს შრომითი ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;
გ) გაუფრთხილდეს უნივერსიტეტის/ინსტიტუტის ქონებას;
დ) სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს ყოველწლიურად წარუდგინოს შესრულებული სამუშაოს ანგარიში;
ე) შეასრულოს ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილებები;
ვ) წინამდებარე დებულებით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელებისას გაითვალისწინოს ინსტიტუტის ინტერესები და რეგულარულად მიიღოს მონაწილეობა მიმდინარე ღონისძიებებში;
ზ) გაუფრთხილდეს ინსტიტუტის რეპუტაციას, ხელი შეუწყოს მისი მიზნების განხორციელებას;

თ) უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაში, კანონმდებლობით დადგენილი წესით მონაწილეობის შემთხვევაში უზრუნველყოს სწავლებისა და კვლევის მაღალი ხარისხი;
ი) შეასრულოს საქართველოს კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული სხვა მოთხოვნები.
3. სამეცნიერო პერსონალის შრომითი ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის საფუძველია მოქმედი კანონმდებლობით და უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული შემთხვევები.

მუხლი13. ინსტიტუტის ქონება და საფინანსო-სამეურნეო საქმიანობა

1. ინსტიტუტი სარგებლობს უნივერსიტეტის მიერ ინსტიტუტისათვის გამოყოფილი სამეცნიერო და საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა საქმიანობისთვის აუცილებელი უძრავ-მოძრავი ქონებით და პასუხისმგებელია ამ ქონების მოვლა-პატრონობასა და ეფექტურად (მიზნობრივად) გამოყენებაზე.
2. ინსტიტუტის დაფინანსების წყარო შეიძლება იყოს:
ა) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიზნობრივად გამოყოფილი თანხები;
ბ) ხელშეკრულების საფუძველზე შესრულებული სამუშაოდან მიღებული შემოსავალი;
გ) გრანტებით მიღებული შემოსავალი;
დ) შემოწირულობები;
ე) საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული დაფინანსების სხვა წყარო.
3. ინსტიტუტის საქმიანობით მოზიდული სახსრები გამოიყენება უნივერსიტეტისა და ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევითი პოტენციალის შემდგომი განვითარებისათვის ან/და პერსონალის შრომის ანაზღაურებისათვის.

მუხლი14. ინსტიტუტის ლიკვიდაცია

1. ინსტიტუტის ლიკვიდაციის საფუძველი შეიძლება გახდეს:
ა) ინსტიტუტის დებულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობა;
ბ) უნივერსიტეტის წესდებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევა.

მუხლი15. დასკვნითი დებულებები, ინსტიტუტის დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი

1. ინსტიტუტის დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება საქართველოს კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის წესდებით დადგენილი წესით.
2. წინამდებარე დებულება ძალაში შედის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო

დადგენილება

№ 43/2017 1 მაისი 2017 წ.

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის - არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილების, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „თ^{2}“ ქვეპუნქტის, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 14 ივლისის №73/2014 დადგენილებით დამტკიცებული აკადემიური საბჭოს რეგლამენტის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „კ^{2}“ ქვეპუნქტისა და სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის 2017 წლის 21 აპრილის №5419/10-02 წერილის საფუძველზე,

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის - არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის დებულება (დანართი №1).
2. აღნიშნული გადაწყვეტილება დასამტკიცებლად წარედგინოს სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს.
3. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6).
4. დადგენილება ძალაში შედის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

გიორგი შარვაშიძე
რექტორი
აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე

დანართი №1

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის - არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის
დებულება

პ რ ე ა მ ბ უ ლ ა

ენათმეცნიერების ინსტიტუტი, როგორც დამოუკიდებელი სამეცნიერო დაწესებულება ("ენის ინსტიტუტი"), შეიქმნა 1941 წელს, 1936 წლიდან არსებული ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის საენათმეცნიერო განყოფილებათა ბაზაზე. 1950 წელს ენის ინსტიტუტს ეწოდა ენათმეცნიერების ინსტიტუტი, ხოლო 1987 წელს, საქართველოს მთავრობის 31 დეკემბრის N643 დადგენილების შესაბამისად, მიენიჭა ინსტიტუტის ერთ-ერთი დამაარსებლისა და მის ძირითად საკვლევაძიებო მიმართულებათა განმსაზღვრელის აკადემიკოს **არნოლდ ჩიქობავას** სახელი.
არსებობის 70 წლის მანძილზე ინსტიტუტმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართველოლოგიის განვითარებასა და სამეცნიერო კადრების აღზრდაში არა მხოლოდ საქართველოს სამეცნიერო თუ სასწავლო დაწესებულებებისათვის, არამედ - ჩრდილოეთ კავკასიის ავტონომიური რესპუბლიკებისთვისაც; აქ ჩამოყალიბდა მსოფლიოში აღიარებული იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების თბილისური სკოლა. ინსტიტუტი კვლავაც აქტიურად მუშაობს ქართული სახელმწიფო ენის სრულ ლექსიკოგრაფიულ და ნორმატიულ უზრუნველყოფაზე, ქართველური და იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების, თეორიული და გამოყენებითი ლინგვისტიკის აქტუალურ საკითხებზე.

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში - ,,უნივერსიტეტი“) არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი (შემდგომში - ,,ინსტიტუტი“) არის უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეული, რომელიც ახორციელებს სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას და რომელსაც ჰყავს მართვის ორგანოები.
2. ინსტიტუტი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს მოქმედი კანონმდებლობით, უნივერსიტეტის წესდებითა და წინამდებარე დებულებით.
3. ინსტიტუტს აქვს ბლანკი და ბეჭედი, საბანკო ქვეანგარიში (ქვეანგარიშები).
4. ინსტიტუტი უფლებამოსილია ჰქონდეს პერიოდული გამოცემა (ჟურნალი, გაზეთი და სხვ.).

მუხლი 2. ინსტიტუტის მიზნები, ფუნქციები და საქმიანობის საგანი

1. ინსტიტუტის მიზანია ხელი შეუწყოს უნივერსიტეტის ფარგლებში სამეცნიერო-კვლევითი და სასწავლო პროცესების ეფექტურად წარმართვას, საერთაშორისო სტანდარტების დანერგვასა და სამეცნიერო კადრების მომზადებას. ინსტიტუტის დანიშნულებაა ფუნდამენტური და გამოყენებითი სამეცნიერო-კვლევითი, საკონსულტაციო და საექსპერტო საქმიანობის განხორციელება.
2. ინსტიტუტი უფლებამოსილია თავისი კომპეტენციის ფარგლებში განსაზღვროს საინსტიტუტო პრიორიტეტები და სამეცნიერო-კვლევითი პროგრამა, ჩაატაროს სამეცნიერო კონფერენციები და სამეცნიერო ხასიათის სხვა ტიპის ღონისძიებები, დაამყაროს სამეცნიერო კონტაქტები ადგილობრივ და უცხოეთის წამყვან სამეცნიერო-კვლევით ცენტრებთან, აქტიური მონაწილეობა მიიღოს საერთაშორისო სამეცნიერო კვლევებში (ერთობლივი სამეცნიერო პროგრამები, საერთაშორისო ფორუმები, სამეცნიერო გრანტები, გაცვლითი სამეცნიერო პროგრამები და ა.შ.). ინსტიტუტი ამზადებს და უნივერსიტეტში დადგენილი წესით გამოსცემს მონოგრაფიებს, კრებულებს, ლექსიკონებს, სამეცნიერო ღონისძიებათა მასალებს. ინსტიტუტი ქმნის და აქვეყნებს სასწავლო და სამეცნიერო დანიშნულების ელექტრონულ რესურსებს.
3. ინსტიტუტი, კანონმდებლობით დადგენილი წესით, უფლებამოსილია მონაწილეობა მიიღოს სასწავლო პროცესში, ასევე:
ა) მონაწილეობს სტუდენტთა საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომების შესრულებაში;
ბ) უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული წესით მონაწილეობს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების მომზადებასა და განხორციელებაში;
გ) უზრუნველყოფს სტუდენტთა ჩართვას სამეცნიერო საგრანტო პროექტებში, ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებსა და სამეცნიერო-კვლევით ღონისძიებებში.

მუხლი 3. ინსტიტუტის სტრუქტურა

1. ინსტიტუტის სტრუქტურას ქმნის ინსტიტუტის მართვის ორგანოები (დირექტორი და ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო) და შემდეგი სამეცნიერო და არასამეცნიერო სტრუქტურული ერთეულები:
ა) სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულებია:
ა.ა) ქართველურ ენათა განყოფილება;
ა.ბ) მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა („მიკე“) განყოფილება;
ა.გ) ლექსიკოლოგიის განყოფილება;
ა.დ) ზოგადი ენათმეცნიერების განყოფილება;
ა.ე) თარგმნითი ლექსიკონებისა და სამეცნიერო ტერმინოლოგიის განყოფილება;
ა.ვ) ქართული მეტყველების კულტურის განყოფილება;
ა.ზ) ენობრივ მონაცემთა კომპიუტერული დამუშავების განყოფილება;

ა.თ) ბასკოლოგიის კაბინეტი (მიკე განყოფილებასთან).
ბ) არასამეცნიერო სტრუქტურული ერთეულებია:
ბ.ა) ბიბლიოთეკა;
ბ.ბ) ვარლამ და გურამ თოფურიების კაბინეტი.

მუხლი 4. ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო

1. ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს ქმნიან ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომლები.
2. სამეცნიერო საბჭო:
ა) განიხილავს და წყვეტს ინსტიტუტის სამეცნიერო მართვისა და განვითარების საკითხებს. შეიმუშავებს ინსტიტუტის სტრატეგიული განვითარების გეგმასა და სამეცნიერო კვლევების მიმდინარე გეგმებს, რასაც ამტკიცებს ინსტიტუტის დირექტორი;
ბ) ხელმძღვანელობს ინსტიტუტის საგამომცემლო საქმიანობას;
გ) ისმენს და ამტკიცებს ინსტიტუტის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელთა წლიურ ანგარიშებს და მათ საფუძველზე უზრუნველყოფს ინსტიტუტის წლიური სამეცნიერო ანგარიშის მომზადებას;
დ) უნივერსიტეტის ადმინისტრაციის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულს წარუდგენს ინსტიტუტის წლიურ სამეცნიერო ანგარიშს;
ე) უნივერსიტეტის ადმინისტრაციის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის მოთხოვნის შესაბამისად, აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოს წინაშე ახდენს წლიური სამეცნიერო ანგარიშის ამსახველ პრეზენტაციას;
ვ) დირექტორთან შეთანხმებით შეიმუშავებს ინსტიტუტის სტრუქტურის ცვლილებების პროექტს და განსახილველად წარუდგენს უნივერსიტეტის რექტორს, უნივერსიტეტის წესდებით განსაზღვრული წესით დამტკიცების უზრუნველსაყოფად;
ზ) თავისი შემადგენლობიდან 5 წლის ვადით ირჩევს სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარეს;
თ) სამეცნიერო საბჭო უფლებამოსილია მიიღოს სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის გადაწყვეტილება. გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ხმა მისცა საბჭოს სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტმა;
ი) უფლებამოსილია ინსტიტუტის საპატიო წევრებად აირჩიოს საქართველოში თუ საზღვარგარეთ მოღვაწე გამოჩენილი მეცნიერები;
კ) შეარჩევს ინსტიტუტის დირექტორს და წარუდგენს უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად;
ლ) უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში მონაწილეობს კვლევითი კომპონენტის შესრულების მონიტორინგის პროცესში;
მ) ასრულებს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებით, ასევე წინამდებარე დებულებით გათვალისწინებულ სხვა ფუნქციებს.

3. სამეცნიერო საბჭოს სხდომა უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილებები, თუ მას ესწრება სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი. გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ხმა მისცა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტმა.
4. სამეცნიერო საბჭოს სხდომა იმართება 2 თვეში ერთხელ მაინც დირექტორის, სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის ან სამეცნიერო საბჭოს წევრთა არანაკლებ ერთი მესამედის ინიციატივით. სამეცნიერო საბჭოს რიგგარეშე სხდომის მოწვევის უფლებამოსილება გააჩნიათ ამავე სუბიექტებს, დადგენილი წესით.
5. ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო მონაწილეობს სამეცნიერო პერსონალის სამსახურში მიღების ერთიანი წესის, უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო თანამდებობის დაკავების დამატებითი პირობებისა და სამეცნიერო პერსონალის ატესტაციის წესის შემუშავებაში.
6. ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო მოქმედი კანონმდებლობის, უნივერსიტეტის წესდებისა და წინამდებარე დებულების შესაბამისად, შეიმუშავებს ინსტიტუტის დირექტორის ღია კონკურსის საფუძველზე შერჩევის წესს.

მუხლი 5. სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე და მისი უფლებამოსილებები

1. სამეცნიერო საბჭოს საქმიანობას წარმართავს სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე.
2. სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარეს ირჩევს სამეცნიერო საბჭო, კენჭისყრის საფუძველზე, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, 5 წლის ვადით. საკითხს, სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის ასარჩევად კენჭისყრა ჩატარდეს ღია თუ ფარული წესით წყვეტს სამეცნიერო საბჭო ღია კენჭისყრის საფუძველზე. იმ შემთხვევაში თუ სამეცნიერო საბჭომ კანონმდებლობით დადგენილი წესით მიიღო გადაწყვეტილება სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის ფარული კენჭისყრით არჩევის შესახებ, სამეცნიერო საბჭო ადგენს ფარული კენჭისყრის ჩატარების პროცედურას.
3. სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე:
ა) უძღვება სამეცნიერო საბჭოს სხდომებს;
ბ) ხელს აწერს სამეცნიერო საბჭოს სხდომის ოქმებს;
გ) ხელმძღვანელობს ინსტიტუტის წლიური სამეცნიერო ანგარიშის მომზადებას;
დ) წარმოადგენს საბჭოს, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, მესამე პირებთან ურთიერთობაში.
4. თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში სხდომის თავმჯდომარე აირჩევა კონკრეტული სხდომისათვის.

მუხლი 6. ინსტიტუტის დირექტორი

1. ინსტიტუტის სამეცნიერო-საორგანიზაციო და ადმინისტრაციულ საქმიანობას ხელმძღვანელობს ინსტიტუტის დირექტორი.
2. ინსტიტუტის დირექტორს შეარჩევს ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო 5 წლის ვადით და დასამტკიცებლად წარუდგენს უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს. კანდიდატურის დამტკიცებაზე აკადემიური საბჭოს დასაბუთებული უარის შემთხვევაში ინსტიტუტის

სამეცნიერო საბჭო წარადგენს იმავე კანდიდატს ან შეარჩევს სხვა კანდიდატურას. კანდიდატურის დამტკიცებაზე აკადემიური საბჭოს განმეორებითი უარის შემთხვევაში ინსტიტუტის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელს ნიშნავს რექტორი. ასეთ შემთხვევაში ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო ვალდებულია არაუგვიანეს 6 თვისა შეარჩიოს ინსტიტუტის დირექტორის ახალი კანდიდატურა. ინსტიტუტის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი ინიშნება რექტორის მიერ იმ პერიოდამდე, სანამ აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული არ იქნება ინსტიტუტის დირექტორის კანდიდატურა.

3. ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობა შეიძლება დაიკავოს პირმა, რომელიც აკმაყოფილებს ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის მთავარი მეცნიერი თანამშრომლისთვის დადგენილ მოთხოვნებს და რომლის ასაკი 65 წელს არ აღემატება. თუ პირს არ უკავია ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობა, ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობის დაკავების შემთხვევაში იგი ითვლება აგრეთვე მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე არჩეულად. 65 წლის ასაკის მიღწევა არ იწვევს დირექტორის უფლებამოსილების შეწყვეტას.

4. დირექტორისა და დირექტორის მოადგილის თანამდებობაზე 65 წელს მიღწეული პირის არჩევის, ასევე გათავისუფლების საკითხს წყვეტს უშუალოდ ამ თანამდებობაზე არჩევის/დანიშვნის გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილების მქონე სუბიექტი.

5. ერთმა და იმავე პირმა ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობა ზედიზედ შეიძლება მხოლოდ ორჯერ დაიკავოს.

6. ინსტიტუტის დირექტორი, როგორც მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, არის სამეცნიერო საბჭოს წევრი.

7. ინსტიტუტის დირექტორი:

ა) უზრუნველყოფს ინსტიტუტში სამეცნიერო კვლევების ეფექტურად წარმართვას;

ბ) უნივერსიტეტის შესაბამის მართვის ორგანოებს შესათანხმებლად წარუდგენს ინსტიტუტის სტრატეგიული განვითარების გეგმასა და სამეცნიერო კვლევების მიმდინარე გეგმებს;

გ) თავისი უფლებამოსილების ფარგლებში პასუხისმგებელია უნივერსიტეტის მართვის ორგანოების გადაწყვეტილებების შესრულებაზე;

დ) შეიმუშავებს და შესაბამის მართვის ორგანოებს განსახილველად და დასამტკიცებლად წარუდგენს ინსტიტუტის ყოველწლიური ბიუჯეტისა და საშტატო ნუსხის პროექტს;

ე) პასუხისმგებელია ინსტიტუტის დაფინანსების მიზნობრივ გამოყენებაზე;

ვ) უზრუნველყოფს სამეცნიერო ანგარიშის მოსამზადებლად საორგანიზაციო ღონისძიებების გატარებას;

ზ) ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოსა და უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, არაუგვიანეს ყოველი კალენდარული წლის ბოლოს, წარუდგენს ინფორმაციას მის მიერ შესრულებული სამუშაოს შესახებ;

თ) უფლებამოსილია, კანონმდებლობით დადგენილი წესით, უნივერსიტეტის შესაბამისი მართვის ორგანოების წინაშე დასვას თანამშრომელთა წახალისების ან მათ მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომების გამოყენების საკითხი;

ი) საკუთარი უფლებამოსილების ვადით უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს ინსტიტუტის პერსონალიდან დასანიშნად ან თანამდებობიდან გათავისუფლების მიზნით წარუდგენს ინსტიტუტის დირექტორის მოადგილის/მოადგილეების და სწავლული მდივნის კანდიდატურებს;

კ) უნივერსიტეტის რექტორის ან/და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე და ფარგლებში, წარმოადგენს ინსტიტუტს მესამე პირთან ურთიერთობაში, დებს ხელშეკრულებებს უნივერსიტეტისგან შესაბამისი რწმუნების არსებობის შემთხვევაში;

ლ) თავისი უფლებამოსილების ფარგლებში, გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს - ბრძანებებს;

მ) ახორციელებს წინამდებარე დებულებითა და უნივერსიტეტის წესდებით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

8. დირექტორის არყოფნის შემთხვევაში, დირექტორის მოვალეობას, მისივე დავალებით, ასრულებს დირექტორის მოადგილე, რაც უნდა ეცნობოს უნივერსიტეტის რექტორს.

9. დირექტორისა და დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის არყოფნის (მივლინება, შვებულება, საავადმყოფო ფურცელზე ყოფნა და სხვ.) შემთხვევაში, ინსტიტუტის დირექტორის მოვალეობის დროებით შესრულება შესაძლებელია დაეკისროს ინსტიტუტის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს დირექტორის/დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის წარდგინებით, რექტორის ბრძანებით.

10. დირექტორის/დირექტორის მოადგილის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საფუძველია:

ა) პირადი განცხადება;

ბ) სასამართლოს მიერ მის მიმართ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის ძალაში შესვლა;

გ) სასამართლოს მიერ შეზღუდულქმედუნარიანად აღიარება ან მხარდაჭერის მიმღებად ცნობა, თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული;

დ) ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს დასაბუთებული წარდგინება;

ე) გარდაცვალება;

ვ) უნივერსიტეტის წესდებით, წინამდებარე დებულებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები.

მუხლი 7. ინსტიტუტის სამეცნიერო და არასამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

1. ინსტიტუტის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს ღია კონკურსის საფუძველზე ირჩევს სამეცნიერო საბჭო და ამტკიცებს დირექტორი.
2. ინსტიტუტის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელად შეიძლება აირჩეს პირი, რომელიც აკმაყოფილებს ამ დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის მთავარი ან უფროსი მეცნიერი თანამშრომლისთვის დადგენილ მოთხოვნებს. თუ პირს არ უკავია დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის მთავარი ან უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობა, დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანამდებობაზე არჩევის შემთხვევაში იგი ითვლება აგრეთვე სათანადო სამეცნიერო თანამდებობაზე არჩეულად.
3. ინსტიტუტის არასამეცნიერო სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელს ინსტიტუტის დირექტორის წარდგინებით ამტკიცებს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი.
4. ინსტიტუტის სამეცნიერო/არასამეცნიერო სტრუქტურულ ერთეულს მართავს ხელმძღვანელი, რომელიც:
ა) შეიმუშავებს სტრუქტურულ ერთეულში განსახორციელებელი საქმიანობის სამუშაო გეგმებს და წარუდგენს სამეცნიერო საბჭოს დასამტკიცებლად;
ბ) შეიმუშავებს სტრუქტურული ერთეულის თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობების პროექტს და წარუდგენს დირექტორს დასამტკიცებლად;
გ) სტრუქტურული ერთეულის კომპეტენციის ფარგლებში, ორგანიზებას უწევს სამეცნიერო-კვლევითი საგრანტო პროექტების შემუშავებას;
დ) განიხილავს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს სტრუქტურული ერთეულის სამეცნიერო თანამდებობებზე კონკურსის ჩატარების წესისა და დამატებითი საკვალიფიკაციო პირობების შესახებ;
ე) დირექტორის წინაშე აყენებს სტრუქტურულ ერთეულში თანამდებობის მქონე პირის დისციპლინური პასუხისმგებლობის, თანამდებობიდან გათავისუფლების ან წახალისების საკითხს;
ვ) შეიმუშავებს და დირექტორს წარუდგენს სტრუქტურული ერთეულის დაფინანსების პროექტს;
ზ) პასუხისმგებელია სტრუქტურული ერთეულის ფუნქციებისა და ამოცანების შესრულებაზე.

მუხლი 8. ინსტიტუტის პერსონალი

1. ინსტიტუტის პერსონალი შედგება ადმინისტრაციული, სამეცნიერო და სხვა პერსონალისაგან.

2. ადმინისტრაციულ პერსონალს მიეკუთვნება დირექტორი და დირექტორის მოადგილე.
3. სამეცნიერო პერსონალს მიეკუთვნება მეცნიერი და პოსტდოქტორანტი.
4. მეცნიერები არიან შემდეგი სამეცნიერო თანამდებობის მქონე პირები:
ა) მთავარი მეცნიერი თანამშრომელი;
ბ) უფროსი მეცნიერი თანამშრომელი;
გ) მეცნიერი თანამშრომელი.
5. ინსტიტუტის სხვა პერსონალს მიეკუთვნებიან სპეციალისტები, ლაბორანტები, ინჟინრები და სხვა საშტატო განრიგით გათვალისწინებული თანამდებობები.
6. ინსტიტუტის დირექტორს/მოადგილეს არ შეიძლება ეკავოს ინსტიტუტის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანამდებობა.
7. ინსტიტუტის პერსონალის უფლება-მოვალეობები, ასევე მათი შრომითი ურთიერთობის პირობები განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობით, უნივერსიტეტის წესდებით, წინამდებარე დებულებითა და უნივერსიტეტის სხვა სამართლებრივი აქტებით.

მუხლი 9. ინსტიტუტის სამეცნიერო პერსონალის უფლება-მოვალეობები

1. სამეცნიერო პერსონალს უფლება აქვს:
ა) დამოუკიდებლად განახორციელოს სამეცნიერო კვლევა და შეუზღუდავად გამოაქვეყნოს კვლევის შედეგები, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მათი შეზღუდვა ხელშეკრულებით არის გათვალისწინებული ან ისინი შეიცავენ სახელმწიფო საიდუმლოებას;
ბ) დამოუკიდებლად განსაზღვროს სამეცნიერო კვლევის შინაარსი, კვლევის მეთოდები და საშუალებები;
გ) მიიღოს მონაწილეობა საგრანტო დაფინანსების მოპოვების მიზნით გამოცხადებულ კონკურსებში, მიიღოს დაფინანსება, ისარგებლოს ინდივიდუალური საგრანტო დაფინანსებით, აგრეთვე, მიიღოს ანაზღაურება კანონმდებლობით ნებადართული სხვა საქმიანობის შედეგად ინსტიტუტის მიერ მიღებული შემოსავლებიდან;
დ) ისარგებლოს უნივერსიტეტის/ინსტიტუტის ბიბლიოთეკითა და სხვა ქონებით;
ე) განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობითა და ამ დებულებით მისთვის მინიჭებული სხვა უფლებამოსილებანი.
2. სამეცნიერო პერსონალი ვალდებულია:
ა) დაიცვას ინსტიტუტის დებულებითა და უნივერსიტეტის შინაგანაწესით დადგენილი მოთხოვნები;
ბ) შეასრულოს შრომითი ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;
გ) გაუფრთხილდეს უნივერსიტეტის/ინსტიტუტის ქონებას;
დ) სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს ყოველწლიურად წარუდგინოს შესრულებული სამუშაოს ანგარიში;

ე) შეასრულოს ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილებები;
ვ) წინამდებარე დებულებით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელებისას გაითვალისწინოს ინსტიტუტის ინტერესები და რეგულარულად მიიღოს მონაწილეობა მიმდინარე ღონისძიებებში;
ზ) გაუფრთხილდეს ინსტიტუტის რეპუტაციას, ხელი შეუწყოს მისი მიზნების განხორციელებას.
3. სამეცნიერო პერსონალის შრომითი ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის საფუძველია მოქმედი კანონმდებლობით და უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული შემთხვევები.

მუხლი 10. სამეცნიერო თანამდებობის დაკავების წესი

1. სამეცნიერო თანამდებობის დაკავება შეიძლება მხოლოდ ღია კონკურსის საფუძველზე, რომელიც უნდა ჩატარდეს გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპების შესაბამისად.
2. უნივერსიტეტის წესდებით განსაზღვრული ვადით, მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, რომელსაც აქვს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება და აკმაყოფილებს უნივერსიტეტის წესდებით განსაზღვრულ დამატებით პირობებს.
3. უვადოდ მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, რომელსაც აქვს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება, აკმაყოფილებს უნივერსიტეტის წესდებით განსაზღვრულ დამატებით პირობებს და რომელსაც აქვს განსაკუთრებული სამეცნიერო მიღწევები (სამეცნიერო პუბლიკაციები წამყვან ადგილობრივ და საერთაშორისო ჟურნალებსა და სხვა გამოცემებში, მიღებული აქვს მონაწილეობა ეროვნულ და საერთაშორისო სამეცნიერო - კვლევით პროექტებში და სხვ.).
4. უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, რომელსაც აქვს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი. პირი უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობას იკავებს 7 წლის ვადით.
5. მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, რომელსაც აქვს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი. პირი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობას იკავებს 4 წლის ვადით.
6. პოსტდოქტორანტად აკადემიური საბჭოს მიერ განსაზღვრული წესით შეიძლება აირჩეს პირი, რომელსაც აქვს დოქტორის აკადემიური ხარისხი.
7. პირის, მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე 5 წელზე მეტი ვადით არჩევის შემთხვევაში, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი 5 წელიწადში ერთხელ ექვემდებარება ატესტაციის გავლას უნივერსიტეტის წესდებითა და ატესტაციის ჩატარების ერთიანი წესისა და პირობებით განსაზღვრული წესით.

8. ატესტაციის გავლას არ ექვემდებარება მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე არჩეული პირი, რომელიც მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე არჩეულია 5 წელზე მეტი ვადით, მაგრამ მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე არჩევიდან 5 წლის შემდეგ დარჩენილი აქვს უფლებამოსილების 5 წელზე ნაკლები ვადა.

მუხლი 11. ინსტიტუტის ქონება და საფინანსო-სამეურნეო საქმიანობა

1. ინსტიტუტი სარგებლობს უნივერსიტეტის მიერ ინსტიტუტისათვის გამოყოფილ სამეცნიერო და საქართველოს კანონმდებლობით ნებადართულ სხვა საქმიანობისთვის აუცილებელი უძრავ-მოძრავი ქონებით და პასუხისმგებელია ამ ქონების მოვლა-პატრონობასა და ეფექტურად (მიზნობრივად) გამოყენებაზე.
2. ინსტიტუტის დაფინანსების წყარო შეიძლება იყოს:
ა) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიზნობრივად გამოყოფილი თანხები;
ბ) ხელშეკრულების საფუძველზე შესრულებული სამუშაოდან მიღებული შემოსავალი;
გ) გრანტებით მიღებული შემოსავალი;
დ) შემოწირულობები;
ე) საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული დაფინანსების სხვა წყარო.
3. ინსტიტუტის საქმიანობით მოზიდული სახსრები გამოიყენება უნივერსიტეტისა და ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევითი პოტენციალის შემდგომი განვითარებისათვის ან/და პერსონალის შრომის ანაზღაურებისათვის.

მუხლი 12. ინსტიტუტის ლიკვიდაცია

1. ინსტიტუტის ლიკვიდაციის საფუძველი შეიძლება გახდეს:
ა) ინსტიტუტის დებულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობა;
ბ) უნივერსიტეტის წესდებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევა.

მუხლი 13. დასკვნითი დებულებები, ინსტიტუტის დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი

1. ინსტიტუტის დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება საქართველოს კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის წესდებით დადგენილი წესით.
2. წინამდებარე დებულება ძალაში შედის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

№ 44/2017 1 მაისი 2017 წ.

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის - შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილების, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „თ^{2}“ ქვეპუნქტის, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 14 ივლისის №73/2014 დადგენილებით დამტკიცებული აკადემიური საბჭოს რეგლამენტის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „კ^{2}“ ქვეპუნქტისა და სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის 2017 წლის 21 აპრილის №5434/10-02 და 2017 წლის პირველი მაისის №5878/10-02 წერილების საფუძველზე,

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის - შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის დებულება (დანართი №1).
2. აღნიშნული გადაწყვეტილება დასამტკიცებლად წარედგინოს სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს.
3. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6).
4. დადგენილება ძალაში შედის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

გიორგი შარვაშიძე
რექტორი
აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე

დანართი №1

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის - შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის დებულება

პ რ ე ა მ ბ უ ლ ა

შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი დაარსდა 1942 წელს, აკადემიკოს კორნელი კეკელიძის ინიციატივით, როგორც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო–კვლევითი დაწესებულება. 2006 წელს, „საქართველოს სამეცნიერო–კვლევით დაწესებულებათა საჯარო სამართლის იურიდიულ პირად დაფუძნების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2006 წლის 16 მარტის №58 დადგენილების საფუძველზე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ბაზაზე შეიქმნა სსიპ - შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი. 2010 წელს, „საქართველოს მთავრობის 2006 წლის 16 მარტის №58 დადგენილების საფუძველზე დაფუძნებული ზოგიერთი სამეცნიერო–კვლევითი დაწესებულების რეორგანიზაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 10 სექტემბრის №278 დადგენილების შესაბამისად, სსიპ - შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ბაზაზე შეიქმნა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეული სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი.

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში - ,,უნივერსიტეტი“) შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი (შემდგომში - ,,ინსტიტუტი“) არის უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი სტრუქტურული ერთეული, რომელიც ახორციელებს სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას და რომელსაც ჰყავს მართვის ორგანოები.
2. ინსტიტუტი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს მოქმედი კანონმდებლობით, უნივერსიტეტის წესდებითა და წინამდებარე დებულებით.
3. ინსტიტუტს აქვს ბლანკი და ბეჭედი, საბანკო ქვეანგარიში (ქვეანგარიშები).
4. ინსტიტუტს შეიძლება ჰქონდეს პერიოდული გამოცემა (ჟურნალი, გაზეთი და სხვ.).

მუხლი 2. ინსტიტუტის მიზნები, ფუნქციები და საქმიანობის საგანი

1. ინსტიტუტის მიზანია, უნივერსიტეტის ფარგლებში და მის გარეთ, ხელი შეუწყოს სამეცნიერო-კვლევითი და სასწავლო პროცესების ეფექტურად წარმართვას, საერთაშორისო სტანდარტების დანერგვასა და სამეცნიერო კადრების მომზადებას. ინსტიტუტის დანიშნულებაა ფუნდამენტური და გამოყენებითი სამეცნიერო-კვლევითი, საკონსულტაციო და საექსპერტო საქმიანობის განხორციელება, გამოყენებითი მიმართულების სამუშაოების წარმოება სახელმწიფო ან კერძო სექტორის დაკვეთით. ინსტიტუტი უფლებამოსილია კანონმდებლობით დადგენილი წესით განახორციელოს სამეცნიერო–კვლევით საქმიანობასთან დაკავშირებული დამხმარე ეკონომიკური საქმიანობა, მათ შორის ინსტიტუტის კომპეტენციის ფარგლებში ფართო საგანმანათლებლო საქმიანობა.
2. ინსტიტუტი უფლებამოსილია თავისი კომპეტენციის ფარგლებში განსაზღვროს საინსტიტუტო პრიორიტეტები და სამეცნიერო-კვლევითი პროგრამა, ჩაატაროს სამეცნიერო კონფერენციები და სამეცნიერო ხასიათის სხვა ტიპის ღონისძიებები, დაამყაროს სამეცნიერო კონტაქტები ადგილობრივ და უცხოეთის წამყვან სამეცნიერო-კვლევით ცენტრებთან, აქტიური მონაწილეობა მიიღოს საერთაშორისო სამეცნიერო კვლევებში (ერთობლივი სამეცნიერო პროგრამები, საერთაშორისო ფორუმები, სამეცნიერო გრანტები, გაცვლითი სამეცნიერო პროგრამები და სხვა თემატური აქტივობები).
3. ინსტიტუტი კანონმდებლობით დადგენილი წესით, უფლებამოსილია მონაწილეობა მიიღოს სასწავლო პროცესში, ასევე:
ა) მონაწილეობს სტუდენტთა საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო ნაშრომების შესრულებაში;
ბ) უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული წესით მონაწილეობს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების მომზადებასა და განხორციელებაში;
გ) უზრუნველყოფს სტუდენტთა ჩართვას სამეცნიერო საგრანტო პროექტებში, ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებსა და სამეცნიერო-კვლევით ღონისძიებებში.

მუხლი 3. ინსტიტუტის სტრუქტურა

1. ინსტიტუტის სტრუქტურა შედგება ინსტიტუტის მართვის ორგანოების (დირექტორი და ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო) და შემდეგი სამეცნიერო და არასამეცნიერო სტრუქტურული ერთეულებისაგან:
ა) სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულებია:
ა.ა) ქართული ლიტერატურის განყოფილება;
ა.ბ) ლიტერატურის თეორიისა და კომპარატივისტიკის განყოფილება;
ა.გ) ფოლკლორის განყოფილება;
ა.დ) რუსთველოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი;

ა.ე) გალაკტიონოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი.
ბ) არასამეცნიერო სტრუქტურული ერთეულებია:
ბ.ა) საგამომცემლო-საინფორმაციო ცენტრი, რომელშიც ერთიანდებიან მთარგმნელები, რედაქტორები, დამკაბადონებელი, დიზაინერი და ინსტიტუტისა და ამ ცენტრის საქმიანობის სპეციფიკის შესაბამისი სხვა პერსონალი. საგამომცემლო - საინფორმაციო ცენტრის პერსონალი ინსტიტუტში დასაქმებულია არასაშტატო თანამდებობებზე, შრომითი ხელშეკრულებით;
ბ.ბ) სხვა არასამეცნიერო (დამხმარე) საქმიანობა ინსტიტუტში სტრუქტურულად ორგანიზებული არ არის და წარმოდგენილია ცალკეული თანამდებობებისათვის განსაზღვრულ კომპეტენციებში. შესაბამისად არასამეცნიერო (დამხმარე) საქმიანობა ხორციელდება დამხმარე პერსონალის მიერ, რომელიც ინსტიტუტში დასაქმებულია არასაშტატო თანამდებობებზე, შრომითი ხელშეკრულებით.

მუხლი 4. ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო

1. ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს ქმნიან ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომლები.
2. სამეცნიერო საბჭო:
ა) განიხილავს და წყვეტს დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო მართვისა და განვითარების საკითხებს. შეიმუშავებს ინსტიტუტის სტრატეგიული განვითარების გეგმასა და სამეცნიერო კვლევების მიმდინარე გეგმებს, რასაც ამტკიცებს ინსტიტუტის დირექტორი;
ბ) ისმენს და ამტკიცებს ინსტიტუტის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელთა წლიურ ანგარიშებს და მათ საფუძველზე უზრუნველყოფს ინსტიტუტის წლიური სამეცნიერო ანგარიშის მომზადებას;
გ) უნივერსიტეტის ადმინისტრაციის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულს წარუდგენს ინსტიტუტის წლიურ სამეცნიერო ანგარიშს;
დ) უნივერსიტეტის ადმინისტრაციის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის მოთხოვნის შესაბამისად, აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოს წინაშე ახდენს წლიური სამეცნიერო ანგარიშის ამსახველ პრეზენტაციას;
ე) დირექტორთან შეთანხმებით შეიმუშავებს, ინსტიტუტის სტრუქტურის ცვლილებების პროექტს და განსახილველად წარუდგენს უნივერსიტეტის რექტორს, უნივერსიტეტის წესდებით განსაზღვრული წესით დამტკიცების უზრუნველსაყოფად;
ვ) თავისი შემადგენლობიდან 5 წლის ვადით ირჩევს სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარეს;
ზ) სამეცნიერო საბჭო უფლებამოსილია მიიღოს სამეცნიერო საბჭოს თვმჯდომარის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის გადაწყვეტილება. გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ხმა მისცა საბჭოს სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტმა;
თ) უფლებამოსილია ინსტიტუტის საპატიო წევრებად აირჩიოს საქართველოში თუ საზღვარგარეთ მოღვაწე გამოჩენილი მეცნიერები;

ი) შეარჩევს ინსტიტუტის დირექტორს და წარუდგენს უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად;
კ) უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში მონაწილეობს კვლევითი კომპონენტის შესრულების მონიტორინგის პროცესში;
ლ) ასრულებს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებით, ასევე წინამდებარე დებულებით გათვალისწინებულ სხვა ფუნქციებს.
3. სამეცნიერო საბჭოს სხდომა უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილებები, თუ მას ესწრება სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი. გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ხმა მისცა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტმა.
4. სამეცნიერო საბჭოს სხდომა იმართება 2 თვეში ერთხელ მაინც დირექტორის, სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის ან სამეცნიერო საბჭოს წევრთა არანაკლებ ერთი მესამედის ინიციატივით. სამეცნიერო საბჭოს რიგგარეშე სხდომის მოწვევის უფლებამოსილება გააჩნიათ ამავე სუბიექტებს, დადგენილი წესით.
5. ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო მონაწილეობს სამეცნიერო პერსონალის სამსახურში მიღების ერთიანი წესის, უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო თანამდებობის დაკავების დამატებითი პირობებისა და სამეცნიერო პერსონალის ატესტაციის წესის შემუშავებაში.
6. ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო მოქმედი კანონმდებლობის, უნივერსიტეტის წესდებისა და წინამდებარე დებულების შესაბამისად, შეიმუშავებს ინსტიტუტის დირექტორის ღია კონკურსის საფუძველზე შერჩევის წესს.

მუხლი 5. სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე და მისი უფლებამოსილებები

1. სამეცნიერო საბჭოს საქმიანობას წარმართავს სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე.
2. სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარეს ირჩევს სამეცნიერო საბჭო, კენჭისყრის საფუძველზე, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, 5 წლის ვადით. საკითხს, სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის ასარჩევად კენჭისყრა ჩატარდეს ღია თუ ფარული წესით წყვეტს სამეცნიერო საბჭო ღია კენჭისყრის საფუძველზე. იმ შემთხვევაში თუ სამეცნიერო საბჭომ კანონმდებლობით დადგენილი წესით მიიღო გადაწყვეტილება სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის ფარული კენჭისყრით არჩევის შესახებ, სამეცნიერო საბჭო ადგენს ფარული კენჭისყრის ჩატარების პროცედურას.
3. სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე:
ა) უძღვება სამეცნიერო საბჭოს სხდომებს;
ბ) ხელს აწერს სამეცნიერო საბჭოს სხდომის ოქმებს;
გ) ხელმძღვანელობს ინსტიტუტის წლიური სამეცნიერო ანგარიშის მომზადებას;
დ) წარმოადგენს საბჭოს, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, მესამე პირებთან ურთიერთობაში.

მუხლი 6. ინსტიტუტის დირექტორი

1. ინსტიტუტის სამეცნიერო-საორგანიზაციო და ადმინისტრაციულ საქმიანობას ხელმძღვანელობს ინსტიტუტის დირექტორი.
2. ინსტიტუტის დირექტორს შეარჩევს ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო 5 წლის ვადით და დასამტკიცებლად წარუდგენს უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს. კანდიდატურის დამტკიცებაზე აკადემიური საბჭოს დასაბუთებული უარის შემთხვევაში ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო წარადგენს იმავე კანდიდატს ან შეარჩევს სხვა კანდიდატურას. კანდიდატურის დამტკიცებაზე აკადემიური საბჭოს განმეორებითი უარის შემთხვევაში ინსტიტუტის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელს ნიშნავს რექტორი. ასეთ შემთხვევაში ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო ვალდებულია არაუგვიანეს 6 თვისა შეარჩიოს ინსტიტუტის დირექტორის ახალი კანდიდატურა. ინსტიტუტის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი ინიშნება რექტორის მიერ იმ პერიოდამდე, სანამ აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული არ იქნება ინსტიტუტის დირექტორის კანდიდატურა.
3. ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობა შეიძლება დაიკავოს პირმა, რომელიც აკმაყოფილებს ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის მთავარი მეცნიერი თანამშრომლისთვის დადგენილ მოთხოვნებს და რომლის ასაკი 65 წელს არ აღემატება. თუ პირს არ უკავია ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობა, ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობის დაკავების შემთხვევაში იგი ითვლება აგრეთვე მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე არჩეულად. 65 წლის ასაკის მიღწევა არ იწვევს დირექტორის უფლებამოსილების შეწყვეტას.
4. დირექტორისა და დირექტორის მოადგილის თანამდებობაზე 65 წელს მიღწეული პირის დანიშვნისა და არჩევის, ასევე გათავისუფლების საკითხს წყვეტს უშუალოდ ამ თანამდებობაზე არჩევის/დანიშვნის გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილების მქონე სუბიექტი.
5. ერთმა და იმავე პირმა ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობა ზედიზედ შეიძლება მხოლოდ ორჯერ დაიკავოს.
6. ინსტიტუტის დირექტორი, როგორც მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, არის სამეცნიერო საბჭოს წევრი.
7. ინსტიტუტის დირექტორი:

ა) უზრუნველყოფს ინსტიტუტში სამეცნიერო კვლევების ეფექტურად წარმართვას;

ბ) უნივერსიტეტის შესაბამის მართვის ორგანოებს შესათანხმებლად წარუდგენს ინსტიტუტის სტრატეგიული განვითარების გეგმასა და სამეცნიერო კვლევების მიმდინარე გეგმებს;

გ) თავისი უფლებამოსილების ფარგლებში პასუხისმგებელია უნივერსიტეტის მართვის ორგანოების გადაწყვეტილებების შესრულებაზე;

დ) შეიმუშავებს და შესაბამის მართვის ორგანოებს განსახილველად და დასამტკიცებლად წარუდგენს ინსტიტუტის ყოველწლიური ბიუჯეტისა და საშტატო ნუსხის პროექტს;

ე) პასუხისმგებელია ინსტიტუტის დაფინანსების მიზნობრივ გამოყენებაზე;

ვ) უზრუნველყოფს სამეცნიერო ანგარიშის მოსამზადებლად საორგანიზაციო ღონისძიებების გატარებას;
ზ) ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოსა და უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, არაუგვიანეს ყოველი კალენდარული წლის ბოლოს, წარუდგენს ინფორმაციას მის მიერ შესრულებული სამუშაოს შესახებ;
თ) უფლებამოსილია, კანონმდებლობით დადგენილი წესით, უნივერსიტეტის შესაბამისი მართვის ორგანოების წინაშე დასვას თანამშრომელთა წახალისების ან მათ მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომების გამოყენების საკითხი;
ი) საკუთარი უფლებამოსილების ვადით უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს ინსტიტუტის პერსონალიდან დასანიშნად წარუდგენს ინსტიტუტის დირექტორის მოადგილის/მოადგილეების და სწავლული მდივნის კანდიდატურებს;
კ) უნივერსიტეტის რექტორის ან/და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე და ფარგლებში, წარმოადგენს ინსტიტუტს მესამე პირთან ურთიერთობაში, დებს ხელშეკრულებებს უნივერსიტეტისგან შესაბამისი რწმუნების არსებობის შემთხვევაში;
ლ) თავისი უფლებამოსილების ფარგლებში, გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს - ბრძანებებს;
მ) ახორციელებს წინამდებარე დებულებითა და უნივერსიტეტის წესდებით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.
8. დირექტორის არყოფნის შემთხვევაში, დირექტორის მოვალეობას, მისივე დავალებით, ასრულებს დირექტორის მოადგილე, რაც უნდა ეცნობოს უნივერსიტეტის რექტორს.
9. დირექტორისა და დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის არყოფნის (მივლინება, შვებულება, საავადმყოფო ფურცელზე ყოფნა და სხვ.) შემთხვევაში, ინსტიტუტის დირექტორის მოვალეობის დროებით შესრულება შესაძლებელია დაეკისროს ინსტიტუტის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს დირექტორის/დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის წარდგინებით, რექტორის ბრძანებით.
10. დირექტორის/დირექტორის მოადგილის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საფუძველია:
ა) პირადი განცხადება;
ბ) სასამართლოს მიერ მის მიმართ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის ძალაში შესვლა;
გ) სასამართლოს მიერ შეზღუდულქმედუნარიანად აღიარება ან მხარდაჭერის მიმღებად ცნობა, თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული;
დ) ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს დასაბუთებული წარდგინება;
ე) გარდაცვალება;
ვ) უნივერსიტეტის წესდებით, წინამდებარე დებულებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები.

მუხლი 7. ინსტიტუტის სამეცნიერო და არასამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

1. ინსტიტუტის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს ღია კონკურსის საფუძველზე ირჩევს სამეცნიერო საბჭო და ამტკიცებს დირექტორი.
2. ინსტიტუტის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელად შეიძლება აირჩეს პირი, რომელიც აკმაყოფილებს ამ დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის მთავარი ან უფროსი მეცნიერი თანამშრომლისთვის დადგენილ მოთხოვნებს. თუ პირს არ უკავია დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის მთავარი ან უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობა, დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანამდებობაზე არჩევის შემთხვევაში იგი ითვლება აგრეთვე სათანადო სამეცნიერო თანამდებობაზე არჩეულად.
3. ინსტიტუტის არასამეცნიერო სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელს ინსტიტუტის დირექტორის წარდგინებით ამტკიცებს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი.
4. ინსტიტუტის სამეცნიერო/არასამეცნიერო სტრუქტურულ ერთეულს მართავს ხელმძღვანელი, რომელიც:
ა) შეიმუშავებს სტრუქტურულ ერთეულში განსახორციელებელი საქმიანობის სამუშაო გეგმებს და წარუდგენს სამეცნიერო საბჭოს დასამტკიცებლად;
ბ) შეიმუშავებს სტრუქტურული ერთეულის თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობების პროექტს და წარუდგენს დირექტორს დასამტკიცებლად;
გ) სტრუქტურული ერთეულის კომპეტენციის ფარგლებში, ორგანიზებას უწევს სამეცნიერო-კვლევითი საგრანტო პროექტების შემუშავებას;
დ) განიხილავს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს სტრუქტურული ერთეულის სამეცნიერო თანამდებობებზე კონკურსის ჩატარების წესისა და დამატებითი საკვალიფიკაციო პირობების შესახებ;
ე) დირექტორის წინაშე აყენებს სტრუქტურულ ერთეულში თანამდებობის მქონე პირის დისციპლინური პასუხისმგებლობის, თანამდებობიდან გათავისუფლების ან წახალისების საკითხს;
ვ) შეიმუშავებს და დირექტორს წარუდგენს სტრუქტურული ერთეულის დაფინანსების პროექტს;
ზ) პასუხისმგებელია სტრუქტურული ერთეულის ფუნქციებისა და ამოცანების შესრულებაზე.

მუხლი 8. ინსტიტუტის პერსონალი

1. ინსტიტუტის პერსონალი შედგება ადმინისტრაციული, სამეცნიერო და სხვა პერსონალისაგან.

2. ადმინისტრაციულ პერსონალს მიეკუთვნება დირექტორი და დირექტორის მოადგილე.
3. სამეცნიერო პერსონალს მიეკუთვნება მეცნიერი და პოსტდოქტორანტი.
4. მეცნიერები არიან შემდეგი სამეცნიერო თანამდებობის მქონე პირები:
ა) მთავარი მეცნიერი თანამშრომელი;
ბ) უფროსი მეცნიერი თანამშრომელი;
გ) მეცნიერი თანამშრომელი.
5. ინსტიტუტის სხვა პერსონალს მიეკუთვნებიან სპეციალისტები, ლაბორანტები, ინჟინრები და სხვა საშტატო განრიგით გათვალისწინებული თანამდებობები.
6. ინსტიტუტის დირექტორს/მოადგილეს არ შეიძლება ეკავოს ინსტიტუტის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანამდებობა.
7. ინსტიტუტის პერსონალის უფლება-მოვალეობები, ასევე მათი შრომითი ურთიერთობის პირობები განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობით, უნივერსიტეტის წესდებით, წინამდებარე დებულებითა და უნივერსიტეტის სხვა სამართლებრივი აქტებით.

მუხლი 9. ინსტიტუტის სამეცნიერო პერსონალის უფლება-მოვალეობები

1. სამეცნიერო პერსონალს უფლება აქვს:
ა) დამოუკიდებლად განახორციელოს სამეცნიერო კვლევა და შეუზღუდავად გამოაქვეყნოს კვლევის შედეგები, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მათი შეზღუდვა ხელშეკრულებით არის გათვალისწინებული ან ისინი შეიცავენ სახელმწიფო საიდუმლოებას;
ბ) დამოუკიდებლად განსაზღვროს სამეცნიერო კვლევის შინაარსი, კვლევის მეთოდები და საშუალებები;
გ) მონაწილეობა მიიღოს საგრანტო დაფინანსების მოპოვების მიზნით გამოცხადებულ კონკურსებში, მიიღოს დაფინანსება, ისარგებლოს ინდივიდუალური საგრანტო დაფინანსებით, აგრეთვე, მიიღოს ანაზღაურება კანონმდებლობით ნებადართული სხვა საქმიანობის შედეგად ინსტიტუტის მიერ მიღებული შემოსავლებიდან;
დ) ისარგებლოს უნივერსიტეტის/ინსტიტუტის ბიბლიოთეკითა და სხვა ქონებით;
ე) განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობითა და ამ დებულებით მისთვის მინიჭებული სხვა უფლებამოსილებანი.
2. სამეცნიერო პერსონალი ვალდებულია:
ა) დაიცვას ინსტიტუტის დებულებითა და უნივერსიტეტის შინაგანაწესით დადგენილი მოთხოვნები;
ბ) შეასრულოს შრომითი ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;
გ) გაუფრთხილდეს უნივერსიტეტის/ინსტიტუტის ქონებას;
დ) სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს ყოველწლიურად წარუდგინოს შესრულებული სამუშაოს ანგარიში;
ე) შეასრულოს ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილებები;

ვ) წინამდებარე დებულებით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელებისას გაითვალისწინოს ინსტიტუტის ინტერესები და რეგულარულად მიიღოს მონაწილეობა მიმდინარე ღონისძიებებში;
ზ) გაუფრთხილდეს ინსტიტუტის რეპუტაციას, ხელი შეუწყოს მისი მიზნების განხორციელებას.
3. სამეცნიერო პერსონალის შრომითი ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის საფუძველია მოქმედი კანონმდებლობით და უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული შემთხვევები.

მუხლი 10. სამეცნიერო თანამდებობის დაკავების წესი

1. სამეცნიერო თანამდებობის დაკავება შეიძლება მხოლოდ ღია კონკურსის საფუძველზე, რომელიც უნდა ჩატარდეს გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპების შესაბამისად.
2. უნივერსიტეტის წესდებით განსაზღვრული ვადით, მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, რომელსაც აქვს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება და აკმაყოფილებს უნივერსიტეტის წესდებით განსაზღვრულ დამატებით პირობებს.
3. უვადოდ მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, რომელსაც აქვს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება, აკმაყოფილებს უნივერსიტეტის წესდებით განსაზღვრულ დამატებით პირობებს და რომელსაც აქვს განსაკუთრებული სამეცნიერო მიღწევები (სამეცნიერო პუბლიკაციები წამყვან ადგილობრივ და საერთაშორისო ჟურნალებსა და სხვა გამოცემებში, მიღებული აქვს მონაწილეობა ეროვნულ და საერთაშორისო სამეცნიერო - კვლევით პროექტებში და სხვ.).
4. უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობ ის დაკავება შეუძლია პირს, რომელსაც აქვს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი. პირი უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობას იკავებს 7 წლის ვადით.
5. მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, რომელსაც აქვს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი. პირი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობას იკავებს 4 წლის ვადით.
6. პოსტდოქტორანტად აკადემიური საბჭოს მიერ განსაზღვრული წესით შეიძლება აირჩეს პირი, რომელსაც აქვს დოქტორის აკადემიური ხარისხი.
7. პირის, მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე 5 წელზე მეტი ვადით არჩევის შემთხვევაში, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი 5 წელიწადში ერთხელ ექვემდებარება ატესტაციის გავლას უნივერსიტეტის წესდებითა და ატესტაციის ჩატარების ერთიანი წესისა და პირობებით განსაზღვრული წესით.
8. ატესტაციის გავლას არ ექვემდებარება მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე არჩეული პირი, რომელიც მთავარი მეცნიერი თანამშრომლის

თანამდებობაზე არჩეულია 5 წელზე მეტი ვადით, მაგრამ მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე არჩევიდან 5 წლის შემდეგ დარჩენილი აქვს უფლებამოსილების 5 წელზე ნაკლები ვადა.

მუხლი 11. ინსტიტუტის ქონება და საფინანსო-სამეურნეო საქმიანობა

1. ინსტიტუტი სარგებლობს უნივერსიტეტის მიერ ინსტიტუტისათვის გამოყოფილი სამეცნიერო და საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა საქმიანობისთვის აუცილებელი უძრავ-მოძრავი ქონებით და პასუხისმგებელია ამ ქონების მოვლა-პატრონობასა და ეფექტურად (მიზნობრივად) გამოყენებაზე. ინსტიტუტი განთავსებულია შენობაში, რომელიც მდებარეობს ქ. თბილისში, მ. კოსტავას ქ. 5-ში.
2. ინსტიტუტის დაფინანსების წყარო შეიძლება იყოს:
ა) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიზნობრივად გამოყოფილი თანხები;
ბ) ხელშეკრულების საფუძველზე შესრულებული სამუშაოდან მიღებული შემოსავალი;
გ) გრანტებით მიღებული შემოსავალი;
დ) შემოწირულობები;
ე) საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული დაფინანსების სხვა წყარო.
3. ინსტიტუტის საქმიანობით მოზიდული სახსრები გამოიყენება უნივერსიტეტისა და ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევითი პოტენციალის შემდგომი განვითარებისათვის ან/და პერსონალის შრომის ანაზღაურებისათვის.

მუხლი 12. ინსტიტუტის ლიკვიდაცია

1. ინსტიტუტის ლიკვიდაციის საფუძველი შეიძლება გახდეს:
ა) ინსტიტუტის დებულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობა;
ბ) უნივერსიტეტის წესდებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევა.

მუხლი 13. დასკვნითი დებულებები, ინსტიტუტის დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი

1. ინსტიტუტის დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება საქართველოს კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის წესდებით დადგენილი წესით.
2. წინამდებარე დებულება ძალაში შედის კანონმდებლობით დადგენილი წესით.